


ლოდი გოგებაშვილი

უფრ-ისტორიან  
ელმრუა სამშობე-თვ



ლილი გოგებაშვილი • უფლისციხიდან გიმლერ სამშობლოვ

# ლილი გოგებაშვილი



# ԿՈՎԻԴ-19

## ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ԹԵՂԻՆ  
**2024**

მადლობა ჩემს ნიკო (ნიკოლოზ) გოგებაშვილს  
ნიგნის გამოცემაში ფინანსური მხარდაჭერისთვის

რედაქტორი ლილი გოგებაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი  
მარინე მარკოზაშვილი

ტექრედაქტორი  
ალექსანდრე პუზანაშვილი

## პიოგრაფია

მე, ლილი გოგებაშვილი, დავითადე 1949 წლის 2 იანვარს., ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანში. ლექსების წერა დავიწყე 1964 წლიდან. 1968 წლიდან იტეჭდება ჩემი ლექსები ურნალგაზეთებში: „ნორჩ ლენინელში“, „სოფლის ცხოვრებაში“, „გამარჯვების დროშაში“, „ახალგაზრდა კომუნისტუში“, „დილაში“, „პიონერში“, „საქართველოს ქალში“, „აღმანახ ლილეში“, „მნათობში“, „ცისკარში“ და „დროშაში“. ჩემს ლექსებზე შექმნეს სიმღერები კომპოზიტორებმა: ჯემალ ადამაშვილმა, მერაბ მერაბიშვილმა, სერგო ჟვანიამ, ნუნუ გაბუნიამ, ვაჟა დურგლიშვილმა, რუსულან ხორავამ. მე თვითონაც ვმღერივარ ფანდურის და დუდუკების თანხლებით, ალბათ, პაპაჩემისგან გადმომეცა მუსიკის ნიჭი და სიყვარული, რომელიც თვალებმინაბული უკრავდა და მღეროდა ზურნაზე. 1969 წლდან ვმუშაობ საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს „ოქროს ფონდში“. 2013 წლიდან ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. გამოცემული მაქვს სადიდო ლექსების სამი კრებული: „იმედის სხივი“, „აფხაზეთი მალე დაგვიბრუნე ღმერთო“, „ფერისცვალებას ველი“ და ოთხი საბავშვო ლექსების კრებული: „შეიყვარეთ დედა ენა“, „გულუვითელა წიწილები“, „მარულაზე მივდივართ“, და „ადანდალი დანდალი შეისწავლეთ ანბანი“. ქალაქ ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სახელით ქალბატონმა ნათელა თარხიშვილმა 2010 წელს გადმომცა დიპლომი, ხოლო 2016 წლის 8 მარტს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით გამგებელმა ბატონმა გოგი მეშველიანმა გადმომცა მადლობის სიგელი ქალაქ ბოლნისის მუნიციპალიტეტში ხალ-

ური რეწვისა და თვითშემოქმედების განვითარებაში, ნაყოფიერი მოღვაწეობისა და უანგარო შრომისათვის. 2018 წელს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სახელით მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა გადმომცა დიპლომი, რომლითაც მომენტი „ამაგდარის წოდება“ ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. 2019 წელს ააიპ ოქროს ფონდის პრეზიდენტმა ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა გადმომცა „თამარიონის ენდალმა“ ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. 2022 წლის ნოემბერში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით ჩატარდა ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, სადაც მივიღე მონაწილეობა, როგორც ხალხურმა მთქმელმა და მომენტისა ლაურეატის წოდება.

მსურს მივიღო მონაწილეობა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი კონკურსის, მესამე ნომინაციაში დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის „ძლევაი საკვირველი“-ს პრემიის მოსაპოვებლად.

**ლილი გოგებაშვილი**



## გაერთიანდეს და გაპრეზიდეს კვლავ იჩერია

ღმერთო! მოგვივლინე  
მეფე დავითის  
დარი პატრონი,  
დამარცხდეს მტერი!

ღმერთო! მოგვივლინე  
მეფე თამარის  
დარი პატრონი,  
გამრავლდეს ერი!

ღმერთო! მოგვივლინე  
მეფე ერეკლეს  
დარი პატრონი,  
ვიცხოვროთ შვებით!

კვლავ რომ ალორძინდეს  
დედალვთისმშობლის  
წილხვედრი ესე  
ქვეყანა ჩვენი!

კვლავ გაერთიანდეს  
ნიკოფისიდან  
დარუბანდამდე,  
ვადიდოთ ღმერთი!

მალე! იბერიის  
გაბრწყინებასაც  
მოგვასწროს ღმერთმა  
ერიც და ბერიც!

\* \* \*

უფლისციხიდან ჩემს საქართველოს  
ვუმღერი ტკბილად,  
ჩვენი წარსული თვალწინ დამიდგა  
იქიდან მზირალს!

\* \* \*

მე მომავლინა ღმერთმა რომ  
ჩემი ლექსებით დაგათროთ,  
სიკეთე ვთესო ამ ქვეყნად,  
ჩემი ნამღერით დაგატკბოთ!

## დიდება უფალს

დიდება უფალს!  
ლვთისმშობელ დედას!  
გადაგვაფარონ  
მფარველი კალთა,  
ჩვენ კი ცოდვისგან  
განწმენდილები  
წარვმდგარვიყავით  
ლოცვად მათ კართან!

## ეს ქართველს გაუმარჯოს

დიახ! გაუმარჯოს  
იმ ქართველს, ქველს,  
წრფელად ვინც იფიცეპს  
სამშობლოს მზეს,  
ვინც არ დაივიწყებს  
თვის ადათ-წესს,  
ვინც რომ გაამრავლებს  
ქართულ ჯიშს, გენს!  
დიახ! გაუმარჯოს  
იმ ქართველს, მძლეს,  
ვინც სამაგიეროს  
მიაგებს მტერს,  
წამლით დაბანგული  
არ დადის დღეს,  
თავის ნიჭს ვინც ახმარს  
ქვეყანას, ერა!  
ვინც მშიერს პურს აწვდის,  
მწყურვალს კი წყალს,  
სუსტს ანუგეშებს და  
უქარვებს დარდს,  
შრომობს და მაგალითს  
კარგს აძლევს სხვას  
და გაჭირვებულთან  
სულ გვერდით დგას!  
ვინც უფრთხილდება თვის  
მიწის მტკაველს,  
არ გაასხვისებს ვინც

თავის მთა-ველს,  
ცხოვრებას მარხვით და  
ლოცვით გალევს  
ვალმოხდილ კაცის ის  
სასმისს დალევს!  
ქართველს გაუმარჯოს!  
სამშობლოს მცველს,  
ვინც უსამართლობის  
წინ ასწევს ხელს,  
წაქცეულს ფეხზე ვინც  
ააყენებს,  
მწვალებლებს დაგმობს და  
ადიდებს ღმერთს!

## რადიოს თანამშრომალებრ

სულ მახსენდება წარსული  
და ის განვლილი წლები,  
ყურს ჩამჩურჩულებს სათუთად  
თქვენი ლამაზი ხმები.

მინდა ხმამალლა ვიყვირო,  
ყველამ გაიგოთ ჩემი,  
მიყვარდით, დღესაც მიყვარხართ,  
მოგონებებში მრჩებით.

ო, მენატრებით ძალიან,  
მსურს გაგაგონოთ ყველას,  
ლამაზი წლები რამდენი  
ხალისით განვვლეთ ერთად.

დაუსრულებლად ვტრიალებთ  
მოგონებათა შორის,  
ახალგაზრდობა გავლიეთ  
სიყვარულით და შრომით.

წლები რაც უნდა გავიდეს,  
რა დამავიწყებს თქვენს თავს,  
რადიოს თანამშრომლებო  
ტკბილად გიხსენებთ დღესაც.

## ჩემო მასხეთო

ხელიდან ხელში გადადიოდი,  
არ გასვენებდა მტერი მზაკვარი,  
არაბმა, ლეკმა, ოსმალომ სისხლით,  
შეღება ჩვენი ყრმათა აკვანნი.

შერკინებიან გადამთიელებს  
თმოგვის, აწყურის და ვარდის ციხე,  
ჭალის, ზანავის და ოქროს ციხეს  
ედგათ მტერთაგან დრო მეტად მძიმე.

სადგერის ციხე, თორთუმის ციხე,  
სლესის ციხეც და ხერთვის-ვარძიაც,  
მტერს უხვდებოდნენ ხმალშემართულნი,  
წინაპართ სისხლით განაბანია.

ჩემო მესხეთო, შენ გაუზარდე  
სამშობლოს ჩვენსას თმოგველ-ჯაყელნი,  
მათ, გადამწყვეტი ბრძოლების უამსაც  
არა სტოვებდა მტრის წილ გამჩენი.

სახელგანთქმული მოლაშქრები –  
შალვა და დავით ახალციხელნი,  
მტერს ცოცხლად რომ არ ჩაბარებოდნენ  
უფლის წინ ჰქონდათ დანაფიცები.

ჩემო მესხეთო შენთვის იბრძოდნენ  
შვილები მტერთან მედგრად დამხვედრნი,  
მთავარსარდალი სააკაძე და  
მეფე ერეკლე, თორელ-მხარგრძენლნი.

დიახ, გამშვენებს ციხე რაბათის,  
გასახსენებლად წარსულის მნარის,  
კვლავაც შენდები, კვლავაც მშვენდები,  
დასაბრმავებლად მომხვდურთა თვალის.

ალორძინდი და აყვავდი კვლავაც,  
მუდამ გფარავდეს ღვთისმშობლის კალთა,  
ო, მე არასდროს ალარ მენახოს  
სამტროდ მოსული ვინმე შენს კართან.

ჩემო მესხეთო, თვალმარგალიტო,  
წარსულში ქართველთ ხმალო და ფარო,  
მტერთან ყოველთვის მტრულად დამხვედრო,  
შენი აღმა სვლით მეც შენთან ვხარობ.

მტრისგან მრავალჯერ აოხრებულო,  
მოყვასთან მუდამ სუფრაგაშლილო,  
გული საფრენად უკვე მზად არის,  
რომ გიმზერ ვარდო, ლამაზად შლილო.

შენ გაგიმარჯოს ჩემო მესხეთო,  
მოყვასის გულის გასახარადა,  
ბევრი შექმნილა, კვლავაც შეექმნათ  
შენზე სიმღერა, ლექსი, ბალადა.

ვინც სამშობლოსთვის თავი გაწირა  
დავანთოთ მათვის წმინდა სანთელი,  
ნელი რამდენიც უნდა გავიდეს  
გულში გვინთია მათი სახელი.

\* \* \*

საამურად აჭიკჭიკდნენ მერცხლები,  
რა კარგია, გაზაფხული მოვიდა,  
ხეებს უკვე დასკდომიათ კვირტები,  
გამიხარდა მეც სიმღერა მომინდა.

## შოთა რუსთაველი ქართველთა განია

რუსთველი იყო ბრძენკაცი,  
ქართულ კულტურის ლამპარი,  
ტაძართა შემამკობელი,  
უფლის წყალობით გამთბარი.

პოეტიც იყო მხატვარიც  
სულმნათი შოთა რუსთველი,  
„ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელსა  
ბევრი რამ დარჩა უთქმელი.

ქართული სიწმინდეების  
და მონასტრების დამცველსა,  
დაზიანებულ ტაძართა  
ევალებოდა აღდგენა.

მტერმა რომ ჯვრის მონასტერი  
გაანადგურა, გაძარცვა,  
მეფე თამარმა იმისი  
აღდგენა იღო თავადა.

მეფემ კი შოთა გაგზავნა,  
რომ აღედგინა მთლიანად,  
ლაშქრობამ ჯვაროსნებისამ  
რაც კი რამ დააზიანა.

ქართულ საკულტო ძეგლებზე  
ზრუნვა მას ევალებოდა,

ყოველი წუთი ძვირფასი  
დაკარგვად ენანებოდა.

მხარში დაუდგა მონასტერს,  
მას ხომ ღვთის მადლი მოსავდა,  
მეფე თამარის სურვილით  
ჯვრის მონასტერი მოხატა.

ამ საქმეს, მამულიშვილურს,  
უძლვნა სიცოცხლე მან მთელი,  
სამეფო კარის ვაზირმა  
ამით ადიდა გამჩენი.

რუსთველი იყო დამტევი  
ულევი ენერგიისა,  
მით მაღლდებოდა პრესტიჟი  
ქართული ეკლესიისა.

ჯვრის მონასტერში აღმოჩნდა  
შოთას იქ ყოფნის კვალია,  
სიცოცხლის ბოლო წლები რომ  
ამ სალოცავში გალია.

ამას მეტყველებს ფრესკები  
და წარწერები ქართული,  
რომ აქ ცხოვრობდა რუსთველი  
თავისი ღვანლით განთქმული.

არასდროს განშორებია  
ქართველთ სავანეს მგოსანი,

იქ დაასრულა ცხოვრება  
მონატრებულმა მოყვასის.

დაე! მარადებამს იბრნყინოს  
ჯვრის მონასტერში მის სახემ,  
მისი სახელი, დიდება,  
საუკუნეებს კვლავ დარჩეს!

## გადლობელი ვარ

უზენაესის ვარ მადლობელი  
თქვენთან ყოფნის რომ ღირსი გამხადა,  
ვნახე მესხეთი, ულამაზესი,  
მდის სიხარულის ცრემლი თვალთაგან.

დიდი ხნის ნატვრა ამიხდა ახლა,  
ვარ თქვენთან ერთად ზეიმის მომსწრე,  
გმადლობთ მესხეთო რომ გაგვიზარდე  
დიდი რუსთველი, სულმნათი მოყმე.

\* \* \*

მიდიან წლები, მიდიან,  
ცეცხლოვან ეტლით მიჰქრიან,  
დროის დინებას მივყვები,  
გულო, ნუ შემიშინდები.

**ქართველ ერს განძი შეუძმნა  
დიდ პედაგოგს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს  
იაკობ გოგებაშვილს**

გოგებაშვილთა ეზოში  
საამოდ ამოჩუხებულდა  
წყარო ანკარა, ცივ-ცივი,  
და ყმაწვილ ვარიანელებს  
მიჰქონდათ მათი ეზოდან  
წყალი ხალისით, კის კისით.

მის სახლის კედლებს, მის ნივთებს,  
ბებერ ხეების ტოტებსაც  
ახსოვს ბავშვობა მოძღვარის,  
შრომა და ქველმოქმედება,  
ხმატკბილი, ხმაურიანი  
გოგებაშვილთა ოჯახის.

იაკობ გოგებაშვილის,  
ამ ზნეკეთილი ყმაწვილის  
ბავშვობა ახსოვს ვარიანს,  
მზით გარუჯული ტოლებთან  
ფეხებშიშველი ველ-მინდორს  
შემოირბენდა მადლიანს.

მერე კი მიუჯდებოდა  
გაქათქათებულ ხარის ბეჭს  
ბიჭი უთქმელად, თავისით,  
გათლილი ჩხირით ასოებს

აგვირისტებდა ძვირფასად,  
მონდომებით და ხალისით.

ლალ, ხალისიან ბავშვობას  
იაკობ გოგებაშვილის  
სევდაც კი მოჰყვა რამხელა,  
ჩაგრულთა მუდამ შემცოდე  
„მგლის ლეკვადაც“ კი მონათლა  
ერთმა უზნეო აღმზრდელმა.

მოხელე-ჩინოვნიკებთან  
ქვეყნის ავბედით საკითხზე  
რამდენჯერ უკამათია,  
და სამართლიან ქველმოქმედს  
დიდ ეროვნული საქმისთვის  
არასდროს ულალატია.

ქართველ ერს განძი შეუქმნა  
და ნორჩებს ლამაზ წიგნებით  
გული ხალისით აუკსო.  
დედა ენამ რომ გამზარდა  
მახარებს და დიდ მოძღვართან  
იდუმალი ხმით ვსაუბრობ.

## მოვაზაროთ ერთმანეთს

ხშირად შევხვდეთ, მოვეფეროთ ერთურთს,  
მონატრება არ მოვუშვათ ჩვენთან,  
ერთად ყოფნით გული ხარობს, ლალობს,  
ხედავთ? ირგვლივ ზეიმია ფერთა!

ერთად ყოფნით ვძლიერდებით უფრო,  
გადავლახავთ დაბრკოლებებს ყველას,  
მონატრება კვლავ დავტოვოთ კენტად,  
ჩვენ კი დავრჩეთ ბედნიერნი ერთად.

## ვამაყობთ შენით

**დიმიტრი გოგებაშვილს**  
წმინდა მამა სტეფანე ხირსელის სახელობის  
მამათა მონასტრის ეზოში განისვენებს ინგილოთა  
ბლალოჩინი დიმიტრი გოგებაშვილი (გოგებოვი),  
რომელიც გარდაიცვალა 1865 წლის 6 ოქტომბერს

შენ ჩემო გოგებაშვილო,  
ინგილოების ქომაგო,  
მათ ჭირს, ლხინს იზიარებდი,  
ღმერთმაც პატივი მოგაგო.

უმსუბუქებდი მათ ტკივილს,  
ეს როდი იყო ადვილი,

ხირსის მონასტრის ეზოში  
მით დაიმკვიდრე ადგილი.

დიდებულ ტაძრის ეზოში  
ბრწყინავდეს შენი საფლავი,  
წარსულის ამბის მთხოვობელი,  
ჩაუქრობელი ლამპარი.

საუკუნენი გავიდა  
რაც ამ ქვეყნიდან გახვედი,  
შენ ვალმოხდილი ამაყად  
წინაპართა წინ წარსდექი.

გოგებაშვილნი ვამაყობთ  
შენი კაცური სახელით,  
და ჩვენს გულებში მარადუამს  
ენთები როგორც სანთელი.

## რჩეულთა პირი

ეკლიანი გზით სიარული  
ყველას არ ძალუძს,  
ეს არის მხოლოდ უზენაესის  
რჩეულთა ხვედრი,  
ადვილი არის სავარძელში  
მოკალათება,  
მართლმადიდებელ სარწმუნოების  
დაცვაა ძნელი.

## ჩემო გამულო

ქარი ქოჩორს უვარცხნის  
მობიბინე ვენახს,  
მზე კი ესალშუნება  
ჩაშაქრებულ მტევანს.

შენი წინსვლა მახარებს,  
ბარაქა და ხვავი,  
ღმერთმა არ მოგიშალოს  
შენ იმედი ხვალის.

შენი გმირულ წარსულით  
მე ამაყი დავალ,  
მსურს თავს დაგკაშკაშებდეს  
ულრუბლო ცა მარად.

მომავალში მსურს ვიყოთ  
ერიც, ბერიც ერთად,  
მულხმოყრილი ქართველი  
არ გვენახოს მტერთან.

\* \* \*

გული ჩემი სიყვარულის ზღვაში  
საიმედო ნავსაყუდელს ელის,  
სადლაც იქით, შორს, მხიარულ ხმაზე  
მესმის, ჩემი მოლალურიც მღერის.

## იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი

ადგილი, სადაც ხე მოჭრეს, ქრისტეს  
საწამებელი ჯვრისათვის,  
სცნო პიზანტიის იმპერატორმა  
ეჩუქებინა ღირსთათვის.

ღირსეული კი მისთვის აღმოჩნდა  
მირიან მეფე ქართველთა,  
მადლობა უფალს, ღვთისმშობელ დედას,  
წყალობა იღეს რამხელა.

ქრისტიანობის მცველმა ამ ადგილს  
ააგო ტაძარი ღვთისა,  
იერუსალიმს დღესაც ამშვენებს,  
ქართველთა სავანე წმინდა.

მისი სახელიც, ჯვრის მონასტერი,  
აქედან შეერქვა დიადს,  
გამუდმებული ომები მტერთა  
ტაძარს აყენებდა ზიანს.

ღვთისნიერ მეფე გორგასალმა კი  
გააფართოვა ტაძარი,  
მის კედლებს დღემდე შემორჩენია  
პროხორე დიდის ნაღვანი.

არ დაუკლიათ მწიგნობარ მამებს  
ჯვრის მონასტრისთვის ღვაწლი,

წმინდა გიორგი, წმინდა ექვთიმეც  
იღვწოდნენ, შეეძლოთ რაც კი.

თარგმნეს წიგნები სასულიერო,  
თან გადაწერეს ქართულად,  
ქართველ ბერების მოღვაწეობა  
თანდათან უფრო გართულდა.

უცხო ტომელებს სურდათ გაექროთ  
აქ, ლვანლი, ქართველ მეფეთა,  
ეგვიპტის სულთანს ჯვრის მონასტერი  
გადუქცევია მეჩეთად.

დამპყრობნი ქართველ ბერებს დევნიდნენ,  
უღმერთოება გამრავლდა,  
ქართულ კულტურის მრავალი ძეგლი  
გაანადგურა ხანძარმაც.

ბერძნებმა ჩვენი ხელნაწერები  
ბნელ სარდაფებში დამალეს,  
ჩვენი ფრესკები და წარწერები  
ყველა ბათქაშით დაფარეს.

ქართველ მეფეებს აღუდგენიათ  
ივერთა სავანე წმინდა,  
ისმის გალობა ჯვრის მონასტრიდან  
და დღესაც ღვთის მადლით ბრწყინავს.

## მეიდა გიორგი გურჯი

პატარა იყო გიორგი, როცა,  
მოსტაცეს თავის ქვეყანას, დედას,  
აღმოჩნდა უცხო ტომელთა ხელში,  
მიეცა ბავშვი უსაზღვრო სევდას.

მიჰყიდეს ვიღაც თურქს, გადამთიელს,  
მიაღებინეს ისლამის სჯული,  
გიორგის ნაცვლად დაარქვეს შალი,  
იცოდა მხოლოდ რომ იყო გურჯი.

მარტობაში განვლო ცხოვრება,  
თვისტომი გვერდით არა ჰყოლია,  
მას სიღარიბე დაუმეგობრდა,  
სიხარული კი არცა ჰქონია.

ის იყო წყნარი, პატიოსანი,  
ოჯახის სითბო ჰქონია არც კი,  
ერთ-ერთ დუქანში წვრილმანებს ჰყიდდა,  
პატივსა სცემდა ყოველი კაცი.

როდესაც გახდა სამოცდაათის,  
ფიქრობდა, მეყო ამდენი თმენა  
და გადაწყვიტა, დაუყონებლივ,  
დაბრუნებოდა წინაპართ რწმენას.

მივიდა იგი თურქ მსახურთან და  
მას გაუმხილა სურვილი თვისი,

რომ ქრისტიანულ ოჯახში იშვა  
და აღარა სურს მას რწმენა სხვისი.

უთხრა: სიმშვიდე დავკარგე, რა ვქნა,  
ამაზე დღე-ლამ, ჩემი გული წუსს,  
მინდა ჩემს რწმენას რომ დავუბრუნდე  
და ქრისტიანად მოვკვდე, ესა მსურს.

კარგ, პატიოსან კაცად იცნობდნენ,  
მიტომ უკვირდათ ნათქვამი მისი,  
ალბათ ჭკუიდან შეიშალაო,  
ქრისტესთვის სიკვდილს მოითხოვს თვისით.

სურდა სიტყვები მისი ერწმუნათ  
და გაეფანტა ირგვლივ წყვდიადი,  
მე სასიკვდილოდ მზად ვარ ქრისტესთვის,  
იმეორებდა თვალცრემლიანი.

ის გამოკეტეს ოდაში, სადლაც,  
რომ მოეყვანათ თურქებს „ჭკუაზე“,  
ანამებდნენ და მაინც ვერ შეძლეს  
გადაბირება, იყო უარზე.

მისი წამება სამ დღეს გაგრძელდა,  
არ ღალატობდა თავის აზრს მაინც,  
რწმენაში უფრო ძლიერდებოდა,  
ქრისტეს სიყვარულს შესწირა თავი.

მას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს,  
როდი შეწუხდა ამაზე დიდად.  
თურქნი გაცოფდნენ ამაზე უფრო,  
გიორგი სასჯელს რომ შეხვდა მშვიდად.

მანამდე სასჯელს აღასრულებდნენ  
კვლავ შეამთხვიეს ტანჯვა მრავალი,  
აწამებდნენ და ლანძლავდნენ, ბოლოს  
კისერში მარყუჟს უჭერს ჯალათი.

ნიშნად წინ თითი გაიშვირეო,  
რომ აღიარე სჯული ისლამის,  
მაგრამ, გიორგი კუმშავდა თითებს,  
არ შეუსრულა იმათ მიზანი.

რაც უფრო მეტად აიძულებდნენ,  
მოხუცი უფრო კუმავდა ბაგეს,  
ბაზარი ცემით მოატარეს და  
თავის გაწირვა ქრისტესთვის ნახეს.

მუსულმანებმა დანით დაჩვლიტეს,  
თოკზე დაკიდეს, მერე ჩამოხსნეს,  
ყველა დარწმუნდა მის სიმტკიცეში,  
მისი მოთმენით თურქნი გაოცდნენ.

მაცხოვრისათვის თავდადებული,  
ვერ გადიბირეს გიორგი გურჯი,  
აზრი ვერაფრით შეაცვლევინეს,  
მუსულმანთათვის აღმოჩნდა ურჩი.

და ამიტომაც ის ჩამოახრჩეს,  
ამით ადიდა ღმერთი-გამჩენი,  
უფლისთვის ვნება-წამებისათვის  
თავზე დაადგა ქრისტეს ნათელი.

## პრძალვით გვაახლე უფალსა

### წმიდა მამა სტეფანე ხირსელს

ასურელ წმიდა მამებთან  
ღვთის მორჩილი და სპეტაკი,  
ახლად მოქცეულ ივერსა  
ეწვია მამა ნეტარი.

მონაზონობის ვიწრო გზით,  
იარა წმიდა სტეფანემ,  
ამ ქვეყნიური ზრუნვისგან  
იყო გამიჯნულ მეტადრე.

ის, მამა იოანესი,  
იყო მოწაფე, სულმნათი,  
უკეთურების მომსვრელი,  
სულიერ წყლულთა მკურნალი.

უფლის ნებით და წყალობით,  
მას წილადა ხვდა კახეთი,  
რომ შეემოსა ეს მხარე,  
ქრისტეს ბრწყინვალე ნათელით.

წმიდა ზენონთან მგზნებარედ,  
მან მოილოცა კახეთი,  
ღვთის სიტყვის მქადაგებელმა  
ამით ადიდა გამჩენი.

ბოლოს გაჩერდა ხირსაში,  
ტიპაანს, ახლოს მდებარე  
და ჰელინდა ქრისტეს ნათელსა  
მთელს ივერს წმიდა სტეფანე.

აქ მონასტერი ააგო,  
ღირსმა სტეფანე ხირსელმა,  
ამით ამაღლდა უფლის წინ  
მისი ღვაწლი და ღირსება.

ამა სოფელმა, ვით ქრისტეს,  
შეასვა ძმარი, ნაღველით,  
მან მაინც სასწაულები  
აქ აღასრულა რამდენი.

საცდურში ჩავარდნილების  
ხარ აღმომყვანი მამაო,  
გადაარჩინე ივერნი,  
საქრისტიანო სამყარო.

მორწმუნეთ წინამძღვარი ხარ  
ქრისტიან ერთა ცისკარო,  
და საუკუნო ლხინშიაც  
ჩვენი სულების მიმყვანო.

მართალი სიტყვის ქადაგო  
და სულიერო ლამპარო,  
ჩვენს სულებისთვის უფლის წინ  
მეოხი იყავ მამაო.

ცრემლები სინანულისა  
მოგვმადლე წმიდა სტეფანე,  
უფლის გზით ჩვენც გაგვიყოლე,  
იყავი ჩვენი მესაჭე.

სულიერ წყლულთა მკურნალო,  
ნუ მიგვცემ ეშმას, მუხთალსა,  
ცოდვისგან განწმენდილები  
კრძალვით გვაახლე უფალსა!

## ნეიდა სალომე ქართველი

იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში  
სპარსთაგან წამებულ წმიდა დედა სალომე ქართველს.

იერუსალიმს დღესაც ამშვენებს  
ჯვრის მონასტერი, ადგილი წმიდა,  
აღადგინეს და განავრცეს უფრო  
გორგასალმა და პროხორე დიდმა.

აქ ულოციათ, ჯვრის მონასტერში,  
პირველ ქრისტიან მეფეს ქართველთა,

მეფე მირიანს, ვახტანგის, თამარს,  
ქრისტიანობის მტკიცედ დამცველთა.

წმიდა სალომეც აქ ლოცულობდა  
საქართველოსთვის, შეწევნად ერის,  
სჯეროდა უფლის წყალობისა და  
იმედით სჭვრეტდა სამშობლოს მერმისს.

სპარსელებსა და სხვა მრავალ დამპყრობთ  
ქვეყნებისათვის ნგრევა მოჰქონდათ,  
ქრისტიანების და ქრისტეს რწმენის  
უპირველესად სურდათ მოსპობა.

იერუსალიმს შემოუტია  
სპარს დამპყრობელთა ურიცხვმა ჯარმა,  
გადაწვეს, მოსპეს ირგვლივ ყოველი,  
ხალხს, წმიდა დედებს არგუნეს ტანჯვა.

ჰა, დადგა უამი ძნელბედობისა,  
ცდუნდა სალომე სპარსელთა მიერ,  
უარყო ქრისტე და ამისათვის,  
ბევრი ინანა, შეწუხდა ძლიერ.

სევდამ მოიცვა წმიდა სალომე,  
არ სცილდებოდა დარდი მის გულსა,  
ნანობდა, რატომ უარყო ქრიტე,  
სული რად მისცა სპარსელთა სჯულსა.

ბევრი ფიქრის დრო არ ჰქონა წმიდანს,  
კვლავ დაუბრუნდა ის ქრისტეს რწმენას,  
ეს რომ შეიტყვეს უშჯულოებმა  
ის შეახვედრეს უამრავ ვნებას.

ჯვრის მონასტერში შეიპყრეს მტრებმა,  
უფალს შესთხოვდა მიეცა თმენა,  
ცეცხლით, მახვილით აწამეს, მაგრამ,  
არ დაუთმია კვლავ ქრისტეს რწმენა.

იერუსალიმს, ჯვრის მონასტერში,  
გადაიტანა მრავალი ტანჯვა,  
ღვთის სიყვარულმა იმძლავრა მასში,  
ამაოდ დარჩათ ჯალათებს გარჯა.

განრისხდნენ სპარსნი, რომ ვერ აცდუნეს,  
ვერ გაჭრა მასთან დასჯამ და თხოვნამ,  
განსაცდელს მშვიდად ხვდებოდა, მიტომ  
გაცოფდა უფრო ჯალათთა ხროვა.

უფალი იყო ნეტარის შემწე,  
აძლიერებდა რწმენაში მეტად,  
განბასრა სპარსთა სარწმუნოება,  
მარტვილი წარსდგა მართალი ღმერთთან.

ამის შემდგომად თავი წარპკვეთეს,  
ცეცხლს მისცეს მისი სხეული წმიდა,  
ამით დასრულდა წამება მისი,  
მაცხოვრისაკენ წინ გვიძლვის სხივად.

წმიდა სალომე თავისი ღვაწლით  
ჩამოიღვენთა როგორც სანთელი,  
ჯვრის მონასტერში, ქართველთ სავანეს,  
შემორჩენია მისი ნათელი.

## შემოუნახეთ!

თქვენი იმედი მაქვს  
თაობავ, მომავალო!  
კვლავ უნდა იბრძოლოთ  
ქართლის დიდებისთვის!  
ჩვენმა წინაპრებმა  
ანდერძად დაგიტოვათ,  
რომ შემოუნახოთ  
შვილებს, შვილიშვილებს:  
თქვენამდე დაცული  
სჯული ქრისტესი,  
თქვენამდე მოღწეული  
ენა ქართული,  
თქვენამდე მოსული  
ზღაპრული საქართველო!

\* \* \*

ყოფჩის ხევს ნისლი ესტუმრა,  
მთისკენ მოიწევს ნელ-ნელა,  
გამანებივრა ფერებით,  
ვერ მტოვებს, ვეღარ მელევა.

## საუკათასო თაობა თქვენ გამოზარდეთ მრავალი

ამაგდარ ხელოვანს: შესანიშნავ ლოტბარს, მომღერალს,  
საქართველოს რადიოს ფონოგრამების განყოფილების  
(„ოქროს ფონდის“) უფროსს პატონ აკაკი ურუშაძეს

თქვენი ერის და ქვეყნისთვის  
რამდენი წელი იღვაწეთ,  
დრო და მანძილი აროდეს  
გეშორებოდათ მიზნამდე.

შესანიშნავი ლოტბარი  
და მომღერალი იყავით,  
მსმენელს ატკბობდით სიმღერით  
მით აისრულეთ მიზანი.

გუნდები გყავდათ ყოველთვის  
მოსაწონი და ქებული,  
თქვენს ერს წინ წარუდგებოდით  
მედლებით დამშვენებული.

თქვენ ანსამბლებმა სიმღერით  
ყველგან გაითქვეს სახელი,  
და იმ გაღებულ თქვენს შრომას  
ასე მოჰყონეთ ნათელი.

საუკეთესო თაობა  
თქვენ გამოზარდეთ მრავალი,  
ხალხური სიმღერისაკენ  
რამდენს მიეცით სავალი.

მეამაყება, ამშვენებთ  
დიდ ხელოვანთა არმიას,  
თქვენ ასრულებდით ყოველთვის  
საქმეს ერისთვის მადლიანს.

უფალმა თქვენ მოგავლინათ,  
იშვიათ ხმების დამცველად,  
შრომობდით დაუღალავად,  
საქმე იტვირთეთ რამხელა.

ჩვენც შეგვაყვარეთ შრომა და  
ზრუნვას აროდეს გვაკლებდით,  
წლები რაც უნდა გავიდეს  
ჩვენს გულში მარად დარჩებით.

მწერლობაშიც კი მოსინჯეთ  
თქვენი მახვილი კალამი,  
შეგითხზავთ ფელეტონები,  
მაგრამ იცოდა არავინ.

საქალალდეში ისევ მე  
აღმოვაჩინე შემთხვევით,  
ბავშვებსაც რომ დაუწერეთ  
თურმე ზღაპრები, ლექსები.

მუდამ წყალობის გამცემი,  
სხვისთვის სიკეთის მდომელი,  
ტოლს არ უდებდით ჭადრაკშიც  
მრავალი პრიზის მფლობელი.

თქვენს ნათქვამ სიტყვას „შვილიკოს“  
გულში ვინახავ სათუთად,  
წარსულს ტკიფილით გავხედავ, -  
დრო, ეჰ, რა სწრაფად გასულა.

ამა ქვეყნიდან გახვედით  
კაცური კაცის სახელით,  
არ მოგკლებოდეთ მარადჟამს  
იმ ქვეყნად უფლის ნათელი.

## ჩვენი სიცოცხლე

ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰქიდია,  
თუკი გაგვიწყდა, მორჩა, გავთავდით,  
კარგი ვაკეთოთ, ცუდით იცოდეთ,  
ჩათვალეთ ღმერთთან უკვე დავმარცხდით!

ყველამ კარგად რომ მოგვიხსენიოს,  
ბოროტს ყოველთვის განზე განვუდგეთ,  
გაჭირვებულებს გვერდით დავუდგეთ,  
ქრისტეს და ჩვენს მტერს, მტრულად დავუხვდეთ!

სანამდე ვცოცხლობთ უნდა ვიცხოვროთ,  
ვით ქრისტიანთა ადათ-წესია,  
როცა კი გავალთ ამა ქვეყნიდან,  
მონანულები შევხვდეთ მესიას.

## დედას

ნუთუ დრო მოვა და სიცოცხლის  
ფიალას დასცლი,  
ო, არ მსურს ფიქრი მე ამაზე,  
ძალიან ვშიშობ,  
ეზოს ჭიშკართან ვინ დამხვდება  
ხელებგაშლილი,  
ვინ დამახვედრებს შენს ტკბილ სიტყვებს,  
„მოხვედი შვილო?“  
ო, მე არ მინდა, რომ მოვიდეს  
ის დრო, ის ჟამი,  
განშორებისა რომ დარეკონ  
მწუხრის ზარებმა,  
მსურს რომ გიმზირო უსასრულოდ  
დალლილს შრომისგან  
და არ მოვუშვა დაღამება  
მაგ შენს თვალებთან.

## ეფე-დედოფლის დალოცვა

ნეფევ გვირგვინს დაგილოცავ  
დედოფალთან ერთად,  
გამრავლდით რომ შურით გული  
უსკდებოდეს მტერსაც.

ქართველნო აკვნის ჭრიალით  
ზარდეთ ქალნი, ვაჟნი,

არასოდეს დაგდგომოდეთ  
გაჭირვების უამი.

გამოზარდეთ შვილნი ღმერთის  
სიყვარულით, შიშით,  
სიმშვიდე და მოთმინება  
გქონდეთ ჭირშიც, ლხინშიც.

სიკეთის ქმნით სულ იყავით  
მაგალითი სხვების,  
მოწყალენი, გულმართალნი,  
მორჩილები ღმერთის.

გაიხარეთ, სულ იმრავლეთ  
საქართველოს ფარად,  
შვილები და შვილთაშვილნი  
დაგხვეოდნენ ჯარად.

მტერ-მოყვარე გაგერჩიოთ,  
აგხდენოდეთ ნატვრა,  
ათი მცნების შესრულებით  
ღვთის გზით გევლოთ მარად.

\* \* \*

რა დამათრობელია  
სურნელი აკაციის,  
ვითარცა სიყვარული  
შენი.

## პავარელი პიშები

ხელედურას ჩაუფრინდნენ  
ბავარელი ბიჭები,  
მათ ყიუინამ დააფეთა  
ნაძვები და ფიჭვები.

ადგაფუნდა ხელედურა,  
კალმახები მიყუჩდნენ,  
აიყოლეს პატარებიც  
სადლაც გაჰქრა სიჩუმე.

სიცივისგან მთლად გალურჯდნენ  
იბანავეს იმდენი,  
ნაპირს გაწვნენ, რიყის ქვებზე,  
მზეს გაანდეს ფიქრები.

მერე ფიჩხიც შეაგროვეს,  
ცეცხლი ააბრიალეს,  
„ლაუღვაშით“ და „ლილეოთი“  
ჭალა აახმიანეს.

ნაკვერჩხლებზე ტარო ცეკვავს,  
რძე გამოსდის, ტკარცალებს,  
გლეხი ჩივის, სიმინდების  
ყანა სულმთლად გაცალეს.

კვლავ მთისაკენ იჩქარიან,  
მთები ელით ზვიადი,  
მათ აცილებს დედის ლოცვა,  
ხელედურას ჩხრიალი.

## პედიორი ხარ

ბედნიერი ხარ, როდესაც  
გსტუმრობს ლამაზი ფიქრი,  
როცა დასაბყრობ მწვერვალთან  
იმედის ფრთებით მიჰქრი.

ბედნიერი ხარ, როდესაც  
მიუწვდომელსა სწვდები,  
სიკეთისაკენ ისწრაფი,  
ბოროტს ვაჟკაცურ ხვდები.

ბედნიერი ხარ, როდესაც  
გზას უკვლევ მოყვასს შენსას,  
წაქცეულს რომ ააყენებ,  
ხარ პირნათელი ღმერთთან.

ბედნიერი ხარ, როდესაც  
მშიერს მიაწვდი ლუკმას,  
დაშვრები შენი ქვეყნისთვის,  
დროს არ დაკარგავ უქმად.

ბედნიერი ხარ, როდესაც  
დარდიანს ნუგეშს მიჰვრი,  
სიკეთის ქმნას დაეშურე,  
თორემ დრო სწრაფად მიჰქრის!

## ვაჟას ეზოში

ვაჟას ეზოში გაზრდილნო  
ყვავილნო თქვენთან ვლალობ,  
ნოემბრის თვეში მცინარეთ,  
რომ გხედავთ გული ხარობს.

თქვენ რომ მელოდით, - მეც მოველ,  
რომ ჩაგეხუტოთ გულში,  
სიბერეს კი არ ვუჩივი,  
ჯერ კიდევ მიჭრის მუხლი.

მახარებს, არ დაგვიწყნიათ  
სტუმარ-მასპინძლის წესი,  
ჰაი, რომ თქვენთან ამოსვლით,  
ზღვა სიხარული შევსვი.

## სჯობს

ხელი გავუწოდოთ, ერთმანეთს,  
მეგობრული,  
სიავის ქმნაში რაა  
ნეტარება,  
ვაკეთოთ სიკეთე, სჯობს სულის  
ცხონებისთვის,  
დღე უქმად დაკარგული  
მენანება.

## ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“

სიბრძნისა და პოეზიის დიდი წიგნი  
არის „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის,  
საფიცარი, საგოგმანო ხელისგულზე,  
სიამაყე, დიდი განძი ქრთველ ერის.

დიდი შოთა ჩვენ ამ წიგნით სიბრძნით გვმოძღვრავს,  
სიყვარულის, მეგობრობის არის მფენი,  
დიდ გენიად აღიარებს მსოფლიო და  
მარად მოსაფერებელი არის ჩვენი.

პოეზიის შედევრია ეს პოემა,  
ამიტომაც შევაყვაროთ ჩვენს მომავალს,  
დიდ გაკვეთილს მიიღებენ ცხოვრებისას,  
გავუფრთხილდეთ რუსთველის ამ მონაგარს.

ჩვენი ბურჯი არის „ვეფხისტყაოსანი“,  
ჩვენი ციხე-სიმაგრეა, სიბრძნის წყარო,  
შარავანდედით შემოსა ხალხმა შოთა,  
მგოსანთმგოსნის მომავალიც მისით ვხარობთ.

ომებმა და ხანძრებმა რომ მას ვერ ავნო,  
არის „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის,  
მოალწია მან ჩვენამდე უფლის ნებით  
და უჭკნობი გვირგვინია ქართველ ერის.

## ატილდა ფუნჯი

### ნიკო ფიროსმანს

ცა მირზაანის, ლურჯი კამპამა,  
თავს ედგა ნიკოს,  
ნაკლებად ახსოვს მოფერება  
სითბო მოკეთის,  
იქ, წნულის ქოხში გაირბინა  
მისმა ბავშვობამ,  
ობლად დარჩენილს პატრონობდა  
მთელი სოფელი.

ახალგაზრდობაც როდი ჰქონდა  
დალხინებული,  
სანთელი მისი მარტოსულად  
ჩამოიღვენთა,  
თავშესაფარიც რომ არ ჰქონდა,  
უჭირდა ეულს,  
მის არსებაში ხატვის ნიჭი  
გამოიკვეთა.

არც სახელოსნო, არცა სახლი  
მას არ გააჩნდა,  
მედუქნეებთან, მიკიტნებთან  
ათევდა ღამეს,  
გაჭირვებაში, ობლობაში  
გალია დღენი,

ხატავდა ირმებს, რთველს და ქორწილს,  
მზესა და მთვარეს.

არ ღირსებია ნუგეში და  
მხატვრის დიდება,  
მისი ცხოვრება უიმედო,  
თითქოს დამთავრდა,  
კეთილშობილი, ამაყი და  
ბედს მინდობილი,  
სამიკიტნოებს გატაცებით  
მაინც ხატავდა.

თავის მწარე ხვედრს მეტისმეტი  
თმენით იტანდა,  
მისთვის ყოველმა სიცოცხლეში  
ფასი დაკარგა,  
არა ჰქონია გამდიდრების  
დიდი სურვილი,  
საღებავებით დუქნებსა და  
გლეხებს ხატავდა.

მარტოობაში მიიცვალა  
დიდი მხატვარი,  
გაცივდა გული ნიკალასი,  
ატირდა ფუნჯი,  
საფლავი მისი ვასო პაპამ  
აკურთხებინა,  
მუდამ მშფოთვარე შემოქმედის  
დაწყნარდა სული.

წილად ხვდა მხატვარს სასაფლაო  
უპატრონოთა,  
თუმცა, სახელი მისი ქვეყნის  
საზღვრებსაც გასცდა,  
ობლის კვერი ცხვა, ბოლოს მაინც  
ვეღარ გამოცხვა,  
ძვალთშესალაგი მისი დღემდე  
უცნობი დარჩა.

## ლიმილის პიშაპს

### ავლანეთის ომში დალუპულ ქართველ ვაჟკაცებს

ეს გაუმარჯოს  
„ლიმილის ბიჭებს“  
რისხვად რომ ეკვეთნენ  
დუშმანთ,  
არ შევარცხვინოთო  
მამული ჩვენი  
მათ ერთურთისთვისაც  
უთქვამთ.

მათი ცხოვრება  
იყო მშფოთვარე,  
სამშობლოს ერთგულნი  
დარჩნენ,  
რარიგ ხანმოკლე

სიცოცხლე ერგოთ,  
ქვეყნად გმირობისთვის  
გაჩინდნენ.

ვარდები როდი ეფინა  
მათ გზას,  
ტყვიები აწვიმდათ  
ბიჭებს,  
ქვემეხთა გრგვინვა  
ამსხვრევდა იმათ  
მომავალ ოცნებებს,  
მიზნებს.

იკაშკაშებენ  
გულში სანთლებად  
და მარად გვექნება  
ხსოვნა,  
ვიამაყებთ და  
გავიმეორებთ  
მათ სახელს,  
ვითარცა  
ლოცვა!

## მამას

### სტეფანე გოგებაშვილს

დამიუძღვურდი, კვლავინდებურად,  
არ გერჩის მკლავებში ძალა,  
მივყვებით ერთად ჩვენს სოფლის შარას,  
ხელჩაკიდებულნი წყნარად.

ბევრი იომე, იშრომ-იღვანე,  
თან დაბრკოლებებიც გდევდა,  
ამიტომ მინდა დიდხანს იცოცხლო,  
კვლავ დიდხანს ვიაროთ ერთად.

### იმავლეთ გოგებაშვილთ

მე გეფერებით დებო, ძმებო,  
გოგებაშვილნო,  
გოგებაშვილთა შტონაყარო  
მამულიშვილნო;

შანშიაშვილნო, პაპიაშვილნო,  
ქოროლლიშვილნო,  
ღმერთმა დაგლოცოთ საქართველოს  
იმედის სხივნო.

აკეთეთ მუდამ საქმე უფლის  
გასახარელი,

რომ იყოთ ღმერთის მოსაწონი  
და საყვარელი.

მამულიშვილი ალორძინდით,  
ქვეყნის სიმებო,  
ჩვენი შეხვედრაც, მომავალში,  
ღმერთმა ინებოს.

თქვენი ვალია, იყოთ მცველი  
მამულის, ენის  
და სათაყვანო მაცხოვარის  
ჭეშმარიტ რწმენის.

გახსოვდეთ მუდამ! - შეიყვარეთ  
თქვენი მოყვასი,  
მართლმადიდებელ რწმენის იყავით  
დიდი ქომაგი.

გოგებაშვილი! აგსრულებოდეთ  
ყველა სურვილი  
და სულ გქონდეთ ერთმანეთის  
ნახვის წყურვილი!

\* \* \*

დიახ ვამაყობ, რომ ვარ  
ქართველი  
და თანაც გვარად  
გოგებაშვილი.

## გულს ემღვრება

შემოდგომა არე-მარეს  
ქარგავს ნაირფერებად,  
თუმცა, ცივი ქარი დაჰჭრის  
ბეღურებს ემღერებათ.

თბილ ქვეყნებში გაფრენილან  
მოჭიკჭიკე მერცხლები,  
ბეღურებმა არ დაგვტოვეს,  
მათი ლხენით ჩვენც ვტკბებით.

წვიმა არის, ბეღურების,  
კვლავ უღურტული გაისმის,  
მათ განწყობამ მხიარულმა  
მოგვიმატა ხალისი.

## მოგილოცავთ 8 მარტს

ჰე, მამულო ქართველ დედას  
დღეგრძელობა მიაგე,  
სახელოვან ჩვენს ქალებზე  
კვლავ ბევრი რამ გვიამბე.

გაგვახარე, გაგვალალე  
მათი კარგი ქალობით,  
მოგვაპყარი მაცხოვარო.  
თვალი შენი წყალობის.

დაგვიზარდეთ კვლავ დედებო  
სანაქებო ქალები,  
ვარსკვლავებად აციმციმდნენ  
სიხარულის თვალები.

არ დაკარგავს თავის გზა-კვალს  
სანთელი და საკმელი,  
მიემატოს ოჯახს ბურჯი,  
აჭრიალეთ აკვნები.

ჩემო დებო, ქართველებო,  
იდლეგრძელეთ, გამრავლდით,  
შვილთაშვილებს მოელოცოთ  
დედის დღე და რვა მარტი.

## პათუმს გიმლი

ბათუმს გიმლერი ბათუმს,  
მრავალ ჭირ-ვარამ ნანახს,  
ღვთის მადლით გაბრწყინებულს,  
ლამაზ, მომხიბლავ ქალაქს.

შენს წარსულს ვეფერები,  
მკვდრეთით ალმდგარო ბევრჯერ,  
ამბორს გიძლვნი და გლოცავ  
შენ, საქართველოს ედემს.

ბათუმს გიმლერი, ბათუმს,  
ქალაქს მადლიანს, ქართულს,  
აჭარის თვალმარგალიტს,  
მზის სხივით ამოქარგულს.

ბათუმს გიმლერი, ბათუმს,  
ბათუმს კაშკაშას, მზიანს,  
მტერდამარცხებულ მოყმეს,  
სტუმართმოყვარეს, სვიანს.

## სვანეთის

სვანეთო მე შენს  
გულში მაქვს ბინა,  
შენ გამოგიზრდი  
შავლეგა ბიჭებს,  
რომელთ თეთნულდის  
სიწმინდე ჰყვებათ  
და იბრწყინებენ  
თვის საქმით მზისეპრ.  
ეცოდინებათ  
სამშობლოს ფასი  
და იქნებიან  
თვის ქვეყნის მშვენიი,  
უფალო ღმერთო  
შენ გევედრები,  
რომ არ მოაკლო  
წყალობა შენი.

## ახალო ცელო

წელო ახალო  
გელით ყველანი,  
სვავით, ბარაქით  
ყურძნის მტევანით.

შენ დაგვიბედე  
მშვიდობა ქვეყნად,  
ვხარობდეთ ჩვენ და  
ხარობდეს ზეცა.

შენ დაგვიბედე  
ქორწილ-ძეობა,  
აკვნის ჭრიალი,  
მტრებზე მძლეობა.

რაინდობა და  
ქველმოქმედება,  
წინაპართაგან  
რომ დაგვებედა.

შენ აგვაშორე  
ღალატი, მტრობა,  
შევინარჩუნოთ  
რაც ღმერთმა მოგვცა.

შენ შთააგონე  
ყველა ქართველი,

ქრისტიანობის  
იყოს დამცველი.

არ განდგომოდეს  
სიმართლეს განზე,  
და ევლოს ქრისტეს  
ჭეშმარიტ გზაზე.

უფალო ჩემს ერს  
აპკურე მადლი,  
არ მოუშალო  
იმედი ხვალის.

## სამშობლო მიგულე მზის სხივად

მიგულე, მზის სხივად მიგულე,  
სითბოთ ჩაგეღვარო გულს,  
ჰო, მთვარის შუქადაც მიგულე,  
გზას რომ გინათებდე სულ.

მიგულე, ჩანჩქერად მიგულე,  
ძალა შევმატო ყვავილთ,  
გამაძლიერე უფალო, რომ  
შველად ვეახლო დაღლილთ.

შხაპუნა წვიმადაც მიგულე,  
ყველას გადავევლო თავს,

შენთვის ამამღერე მამულო  
ჩემს ხმას რომ გამოყვეს სხვაც.

## ვადლებრძელებ

### იაკობ გოგებაშვილს

ვადლებრძელებ მე იმ ქართველს,  
ვინც გაგვიღო ცოდნის კარი,  
ვინც გვაჩუქა დედა ენა,  
დაგვიტოვა კარგი კვალი.

## სოფელს მოჰვიდე ნათელი

### ჩემი სოფლის საამაყო შვილს ზაური ერაძეს

ფარახეთში დაიბადე,  
რაჭის მზე თავს გევლებოდა,  
რატევანში ჩამოსულს კი  
თაფნის სიო გეხვეოდა.

რვა წლის იყავ, რომ ჩამოხველ,  
დავაუკაცდი რატევანში,  
ისე განვლე გზა ცხოვრების  
დარჩენილხარ არვის ვალში.

თავმდაბალი, მშვიდი, წყნარი  
და მშრომელი იყავ მუდამ,  
აკეთებდი საქმეს ისე,  
როგორც შენს ხალხს, სოფელს სურდა.

ირგვლივ სთესდი სიყვარულს და  
ასხივებდი მუდამ სითბოს,  
საამაყო შვილთან ყოფნა  
უხაროდათ ყველას მიტომ.

ბევრს არასდროს საუბრობდი  
და არც საქმეს გადასდებდი,  
ყველას დამხმარე იყავი,  
სუსტებს მუდამ თანა სდევდი.

სოფლისათვის სარგო საქმე  
არასოდეს არა გლლიდა,  
მოვლინება შენი ქვეყნად  
მარტო ამაღაცა ლირდა.

არ იყავი მიმდევარი  
პირველობის, არც სიმდიდრის,  
უფალმაც მიტომ დაგადგა  
უკვდავების შენ გვირგვინი.

მძიმე ჟამი გვედგა უნინ,  
გვავიწყდება არვის დღემდე,  
სომხის მღვდლები ნათლავდნენ და  
სომხურადაც ჯვარსა სწერდნენ.

გაშმაგებით ასომხებდნენ  
ქართველებს და ტაძრებს წმინდას,  
რატევანშიც მოკალათდნენ,  
ითვისებდნენ ნაღვანს სხვისას.

ტაძარს წმიდა გიორგისას  
მიაშენეს სომხურ სტილზე,  
წარწერებსაც სპობდნენ ქართულს,  
ქართულს სომხურ გვარით სცვლიდნენ.

ისევ მახსოვს, ბავშვობაში,  
რომ ვეძახდით სომხურ ტაძარს,  
წმიდა გიორგის ყოფილა,  
ჩვენ ის წლები დაგვრჩა დარდად.

რაც კი სომხებმა დააკლეს  
ის რუსებმა დაასრულეს,  
წარწერები შეათეთრეს,  
ბოროტება აღასრულეს.

მერე კი კომუნისტებმა  
ხორბლის ბეღელად აქციეს,  
არა ჰქონდათ შიში ლმერთის,  
ან რა ერქვა მათ საქციელს?

ტაძარი რაც დაადუმეს  
მას შემდეგ წლები გავიდა,  
შეიცვალა დრო და ხალხიც  
რწმენაში უფრო განმტკიცდა.

ტაძარი რომ აღედგინათ  
რაც პირვანდელ სახით იყო,  
სოფელს სურვილი გაუჩნდა  
და შრომისთვისაც მზად იყო.

აჰა, დადგა ჟამი ძმაო,  
ტაძრის უკვე განახლების,  
და შენც საქმეს, ღვთის გასახარს,  
შეუდექი თავდადებით.

სოფლის შვილთა თანადგომით  
შეეჭიდე დიად საქმეს,  
ტაძარს წმიდა გიორგისას  
დაუბრუნე ძველი სახე.

სოფლის გასახარი საქმე  
სხვაც აკეთე ამის გარდა,  
შენი კაცური სახელი  
სულ ენთება სოფელს სანთლად.

შენ იშრომე პატიოსნად,  
ცხოვრებას უსწორე თვალი,  
ღმერთისა და სოფლის წინა  
მოხდილი გაქვს უკვე ვალი.

უძლვენ რატევანს ტაძარი,  
მოჰყონე უფლის ნათელი,  
ადიდე შენი სული და  
ადიდე ღმერთი, გამჩენი.

შენი კარგი საქმეებით  
რატევანი მუდამ ხარობს,  
სოფლის საამაყო შვილო,  
განისვენე მშვიდად ძმაო.

კარგ მაგალითად დარჩები  
სოფლის მომავალ თაობას,  
რადგან იმ ტაძრიდან უკვე  
ისმის ლოცვა და გალობა.

## გთ

დასაპყრობი მწვერვალი,  
მეკვლეს გელის შენ,  
კვალი გაუყვანელი,  
მეხრეს გელის შენ,  
ცხენი გაუხედნავი,  
მხედარს გელის შენ,  
ალოობა იწყება,  
მომკელს გელის შენ.

ლექსი დაუწერელი  
გელოდება შენ,  
მთაში, ბარში სათიბი  
კვლავ შენ გელის შენ,  
გზები გაუყვანელი  
ისევ გელის შენ,  
კალო გაულენავი

გელოდება შენ,  
ცა, ვარსკლავთა სამეფო,  
კვლავ შენ გელის შენ,  
ყველგან უნდა გრგვინავდე!  
შენ,  
შენ,  
შენ!

## ცისარტყელის ქვებ

ზეცას მოუსხამს რუხი ლაპადა,  
მდუმარეს ცრემლები მოსდის,  
მე შენზე ფიქრი არა მცილდება,  
მოხვალ კი? – ნეტავი როდის.

წვიმამ მოხატა მინები ნაზად,  
გული კვლავ შენით ხმიანობს,  
ჩემი იმედი ხვალინდელი დღის,  
ცხოვრების ტალღებს მიაპობს.

მჯერა რომ კვალავაც დამიბრუნდები,  
და აღარ ვიქნებით კენტად,  
წვიმა რომ გადაიღებს, გავივლით  
ჩვენ, ცისარტყელის ქვეშ ერთად.

## მასთავლებელო

ჩემო ძვირფასო მასწავლებელო,  
ფიქრით მოსილი თქვენგან მივალთ და  
თქვენი ალერსი დედა-შვილური,  
გულს თან გაგვყვება უქრობ ჩირალდნად.

როცა თქვენს გვერდით აღარ ვიქნებით,  
მყაცრად გამოგვცდის ცხოვრება რთული,  
არ დავივიწყებთ თქვენს დარიგებებს,  
მიეკარება არასდროს რული.

## გონის მოძით ქართველო

უწინ ქართველნი მტრის ურდოებს  
მედგრად ებრძოდნენ,  
დღეს კი მოძმეზე, როგორც მტერზე  
აღმართეთ ხელი?  
ბევრი ქართველი სამშობლოში  
ლტოლვილად იქცა,  
იბერიაში რად გამხდარხართ  
სექტანტა მცველნი?  
არ დაელია საქართველოს  
ყორლანაშვილნი,  
შადიმანებიც მოუმრავლდა  
რამდენიც გინდა,  
სულის წარსაწყმედს მრავალს სჩადიან  
ცოდვის შვილები,

ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას ქართულს  
ჰყიდიან წმინდას.

ჰოი, ქართველნო, უარპყავით  
გზა ბარაბასი,  
თვისტომთ მიხედეთ, დაეხმარეთ,  
იწამეთ ერთი,  
უკეთურებით ვერ მიიღებთ  
სულის ცხონებას,  
ჩვენი და ქვეყნის გადამრჩენი  
მხოლოდ არს ღმერთი.

## არ მომაკლებ სიყვარულს

ბათუმისკენ მინარნარებს გზა,  
მელის ცისფრად მოლივლივე ზღვა,  
არაფერი არ მაოცებს,  
არაფერი არ მანცვიფრებს,  
არაფერი არა მხიბლავს სხვა.

ვჩეარობ, მინდა მალე გიხილო,  
ვეღარ ვმალავ უკვე სიხარულს,  
ვიცი, გულში ჩამიხუტებ,  
ვიცი, მზეზეც გამაშავებ,  
არ მომაკლებ სითბო-სიყვარულს.

მომხიბლავო ჩემო ბათუმო,  
საქართველოს მარგალიტი ხარ,  
წვიმაც მიყვარს შენს ქუჩებში,  
ყვავილების სურნელებაც,  
არ ვინატრო უკეთესი სხვა.

სათავე ხარ ბედნიერების,  
თოვლიანი მთებიც გამშვენებს,  
ხალისს მმატებს სიცოცხლისას  
ნეტარო და სათაყვანო,  
ლივლივა ზღვა შენი მახელებს.

ბათუმი ზღვისფერია,  
ბათუმი მზისფერია,  
თოლიები მიტომაც  
სიყვარულზე მღერიან.

## 31 ღაგივიშვილი

მასწავლებელო, ჩვენ რითი შევძლებთ,  
გადაგიხადოთ ამაგი დიდი,  
მთელი ათი წლის განმავლობაში  
ყველა ჩვენგანი მშობლადა გთვლიდით!

თქვენს ხილვას გული მუდამ მოითხოვს,  
როგორ შორ გზაზეც უნდა წავიდეთ,  
აბა, თქვენს ამაგს რა დაგვავიწყებს,  
წლები რა ბევრიც უნდა გავიდეს.

ჩვენი გმირობა და სიმამაცე  
ყველაზე მეტად გაგიხარდებათ,  
მტკიცედა გვნამს რომ თქვენ ჩვენი წინსვლით  
ლამაზი გული აგიყვავდებათ!

\* \* \*

არ ვარ მანქანა, რომ მატარო  
შენი სურვილით,  
არც რამ საგანი, რომ გაერთო  
ჩემთან თამაშით,  
ღვთისგან გმობილო, ჰე სატანავ,  
ჩამომეცალე,  
ვარ შემოქმედი, კიდევ დედა  
ძის და ასულის.  
ვერა და ვერა, ვერ წარმხოცავ  
ამა ქვეყნიდან,  
ვერ იზეიმებ გამარჯვებას  
ჩემი დაცემით.

## გაზაფხულია

მინდვრები უკვე მწვანედ ბიბინებს,  
გამოიფოთლა ტირიფი, თხმელა,  
ალუბლებიც და ატმებიც ჰყვავის,  
ველარ მოვწყვიტე მათ თვალთა მზერა.

## გაზაფხული

გავიდა ჭირვეული მარტი,  
ძენისა გაიშალა მხარში,  
აყვავდა ჭერამი და ნუში,  
ზამთრის აღარაა სუსხი.

აპრილი მოვიდაო ლალი  
სიხარულს ვერ მალავს ვაზი,  
ჩიტები გოგმანობენ ბალში,  
გამოიხედეთო კარში.

ბუნებამ გაიღვიძა, ვხედავ,  
მზე ღიმილს აგზავნის ყველგან,  
ბალახი აბიბინდა ველად,  
გულით გაიხარა ყველამ.

## ქართველობა

დადექით, იქ სადაც უჭირს  
ენას, მამულს და რწმენას,  
საქართველო რომ გადარჩეს,  
ამოისუნთქოს ერმა.

წინ უნდა აღვუდგეთ ყველა  
უკეთურებას ერთად,  
უზნეობა არ ვამეფოთ,  
მართალნი წარვსდგეთ ღმერთთან.

მსურს გქონდეთ უფლის შიში  
დავიცვათ ქრისტეს რწმენა,  
ღვთის სამსჯავროზე წარმდგარნი,  
რომ შეგვიწყალოს ღმერთმა.

უნდა დაიცვათ მუდამ  
წინაპართ ადათ-წესი,  
ქრისტეს გზას არ გადუხვიოთ,  
არ განარისხოთ ღმერთი.

## დამილოცნისართ ბავშვებო

დაირეკება ბოლო ზარიც და  
დაგეხურებათ კარები სკოლის,  
ამიერიდან თქვენ შეიქმნებით  
იმედი ხვალის, შემძლენი ყოვლის.

ცხოვრების ფართო გზას გაუყვებით,  
დამილოცნიხართ სულით და გულით,  
სულ აღმა გევლოთ დაუმარცხებლად,  
გაგევლოთ ქვეყნად სიკეთის ხნული.

ცხოვრება მისას არას მოგაკლებთ,  
ტკბილ-მწარის მუდამ იქნებით ზიარ,  
თქვენი შრომით და კვლევა-ძიებით  
მწამს ააყვავებთ ქვეყნას მზიანს.

## ქართველებო იქართველებო!

ქართველებო! გონიე მოდით!  
ნულარ დალვრით ძმათა სისხლსა,  
თორემ უკან გვიბრუნდება  
ისევე ჩვენ, უფლის რისხვად.

ვერა ხედავთ? მტერს ახარებთ,  
ისევ ჩვენ რომ ვნადგურდებით,  
წყალს ნუ ასხამთ მტრის წისქვილზე,  
თავს გვესხმიან გამუდმებით.

არ სურთ ჩვენი გამარჯვება,  
არ სურთ ჩვენი გამრავლება,  
რომ მიხვდებით, შეიძლება,  
გვიან იყოს დანანება.

ჩხუბით არა, შეგონებით,  
იმოქმედოთ იქნებ დროზე,  
გზას ამცდარი ყმაწვილები  
მოიყვანოთ ისევ გონიე.

გახსოვდეთ, რომ საქართველო  
ღვთისმშობელის წილხვედრია,  
ამიტომაც მისი ლოცვით  
ადვილად ვერ გვერევიან.

კვლავ იბრძოლეთ, კვლავ იშრომეთ,  
სულ აკეთეთ საქმე კარგი,

რომ წაადგეს ჩვენს ქვეყანას,  
გაუფანტოს ქართველს დარდი.

თქვენი წვლილიც შეიტანეთ,  
გამთლიანდეს საქართველო,  
აღორძინდეს, ყველასათვის  
გახდეს კვლავაც სანაქებო.

## მე მიყვარს ადამიანი

მიყვარს ის ადამიანი,  
ვისაც საქართველო უყვარს,  
ვინც პატივს მიაგებს ქართველს,  
სიკეთეს ვინც სთესავს უხვად.

მიყვარს ის ადამიანი,  
კარგს თუ არ, ნუ იტყვის ცუდსაც,  
სიმართლის გზებით იაროს,  
მოყვასს ნუღარ ატკენს გულსა.

მიყვარს ის ადამიანი,  
ქვეყანას თვისას ვინც იცავს,  
ვინც მშიერს მიაწვდის ლუკმას,  
იმედდაკარგულს კარგ სიტყვას.

მიყვარს ის, ვინც სიყვარულით  
ახლობელს გაუთბობს გულსა,

მეგობრობას და სიყვარულს  
მუდამ გაფრთხილება უნდა.

მიყვარს, ვინც არ განუდგება  
ქრისტეს ჭეშმარიტ რწმენასა,  
აზრს ვერვინ შეაცვლევინებს,  
რჩება ბოლომდე მცველადა.

## პირის მონასტრის მცველები

ქალაქის წმინდა ადგილი  
სათაყვანო ესე,  
მმრთველმა ბიზანტიისამ  
აჩუქა ქართველთ მეფეს.

მირიან მეფემ ააგო  
აქ მონასტერი ჯვრისა,  
გორგასალმა კი განავრცო  
სადიდებელი ღვთისა.

აი, ამ ჯვრის მონასტერთან  
არის სოფელი მალხა,  
ჩასახლებულან ქართველნი  
ვახტანგ გორგასლის ხანად.

წასვლამდე შეისისხლხორცეს  
და დაისახეს მიზნად,

დაეცვათ ჯვრის მონასტერი  
შემოსეული მტრისგან.

სულ დაავიწყდათ ქართული,  
მამა-პაპური რწმენა,  
ომის ქარ-ცეცხლი, ტკივილი  
დაუსრულებლად სდევდათ.

იციან ის, რომ არიან  
შთამომავალნი გურჯთა,  
მათ მონასტერი დაიცვეს  
თავდამსხმელთაგან ურჩთა.

ლაპარაკობენ ბერძნულად,  
ფლობენ არაბულს, თათრულს,  
მაგრამ აღარც კი უცდიათ  
დაუფლებოდნენ ქართულს.

არაბი ტომებისაგან  
განსხვავდებიან დიდად,  
წარსულის ისტორიით და  
ზნე-ჩვეულებით წმინდა.

\* \* \*

არავინ იცის მომავალში  
გველის ვის როგორი სიბერე,  
ყველა მოხუცებულს ამიტომ,  
დიდი სიყვარულით მიხედე!

## ამღარაგული პოეზია

**ქართველი ერის დიდებულ პოეტს  
ბატონ იოსებ ნონეშვილს**

როს დაიბადე ღმერთმა ინება,  
რომ დაელოცე შენი მხარ-მკლავით,  
ბრძოლის ველზე თუ ცხოვრების ფრონტზე  
არ დაგეყარა არსად ფარ-ხმალი.

ბავშვობა გქონდა ძალიან მძიმე,  
ნაადრევად რომ დაობლდი ბიჭი,  
მრავალ ჭირ-ვარამ გადატანილს კი  
ტკივილი მიტომ გესმოდა სხვისი.

ჭაბუკი იყავ ჯერ კიდევ, როცა  
წინ აღუდექი გერმანულ ფაშიზმს,  
მარცხი აგემეთ, მსოფლიოსათვის  
მტერს უსასტიკეს, ყველაზე საშიშს.

ომის ქარ-ცეცხლში თქვენი ლექსებით  
თანამებრძოლებს ძალას ჰმატებდი,  
აძლიერებდი და გეფრქვეოდა  
ციდან ღიმილის თეთრი ფანტელი.

შენი ერის და ქვეყნის წინაშე  
პირნათელი ხარ, არ დარჩი ვალში,  
ომიდან დაბრუნებული კვლავაც  
ჩადექი ქვეყნის აღდგენის კვალში.

გიყვარდა ძლიერ შენი ქართველი,  
ლოცავდით მუდამ იმის მონაგარს,  
გსურდა სულ ევლოთ გამარჯვებულებს  
და უსურვებდი ნათელ მომავალს.

უსამართლობის წინააღმდეგაც  
ხმალშემართული იპრძოდი მუდამ,  
რადგანაც შენი ერისათვის და  
შენი ქვეყნისთვის სიკეთე გსურდა!

არ ივიწყებდი ჩვენს გმირ წინაპრებს,  
იმათ სახელზე ანთებდი სანთელს,  
მათ სულებისთვის ლოცულობდი და  
ნათელში ყოფნას შესთხოვდი გამჩენს.

მოყვასს არასდროს აკლებდი ნუგეშს,  
მათთვისაც მუდამ მზრუნველი იყავ,  
გაჭირვებისას გვერდში ედექი,  
შენს სახელს ყველა ვინახავთ წმინდად.

ბედნიერია ადამიანი,  
ვინც კი ამ ქვეყნად კარგ კვალსა სტოვებს,  
მთელი ცხოვრება სიკეთეს სთესდით  
და უკვდავებაც თქვენ უკვე ჰპოვეთ!

ამღერებული თქვენი ლექსები,  
რომ გვეფინება მალამოდ ყველას,  
სამშობლოს მთა-ბარს, სოფელ კარდენახს  
ეფერებიან, ჯეჯილიც ლელავს!

\* \* \*

შემოუვლიან სოფლებს, ქალაქებს,  
ყველგან საამურად გალობენ,  
მერე ხეებზე შემოსხდებიან  
და სათქმელს ჭიკჭიკით ამბობენ.

\* \* \*

ცაზე ღრუბლებს,  
ლეგა ღრუბლებს,  
გაუმართავთ  
მარათონი,  
ნეტავი რა  
უხარიათ?  
ალბათ, მალე  
მოვა თოვლი.

\* \* \*

ცად აზიდული,  
საოცარ სურნელს  
აფრქვევს აკაცია,  
ყოველი კაციც ხომ  
თავისი საქმით  
ავლენს რა კაცია!

## საქართველოს ახალგაზრდობას

ჩემი ქვეყნის ქალ-ვაჟებო,  
გაძლიერდით ისე,  
რწმენა მართლმადიდებლური  
რომ დაიცვათ მტკიცედ.

თქვენი შრომით, თქვენი გარჯით,  
ააყვავეთ ერი,  
თქვენი ცოდნით, თქვენი ბრძოლით  
დააჩოქეთ მტერი!

არ ისვენებს შინაური,  
არც გარეშე მტერი,  
გვყიდიან და გვასხვისებენ,  
დავრჩით ტოლა ცრემლის.

დაფლეთილი საქართველო  
არის ჩვენი დარდი,  
წინაპართა საძვალენი  
შეარჩინოთ არვის.

ღვთისმშობელი, მაცხოვარი,  
არ დაგვტოვებს ისე,  
მხსნელს მოგვივლენს, საქართველოს  
გააბრწყინებს მზისებრ.

შეცადეთ რომ გაავლოთ  
თქვენ სიკეთის კვალი,

იმედი და მომავალი  
ქვეყნისა ხართ ხვალის!

წინაპართა გზით იარეთ,  
არ შეჩერდეთ წამით,  
თქვენი მიწის ერთი გოჯიც  
არ დაუთმოთ არვის.

გმირობის და თავდადების  
მაგალითი გახდით,  
საქართველოს მეციხოვნედ  
თქვენ ბოლომდე დარჩით!

უერთგულეთ ჩვენს ქვეყანას,  
სულ გახსოვდეთ ერთი,  
კეთილ საქმის კეთებისას  
შეგეწევათ ღმერთი!

\* \* \*

ცხოვრება სიხარულს  
წვეთ-წვეთად იმეტებს,  
სევდას კი,  
რამდენიც გინდა,  
მაგრამ ეშმაკი  
მე ვერას დამაკლებს,  
რადგანაც  
უფალი მიცავს!

## პოლო ჟამია!

ბოლო ჟამია! და დაფიქრება  
გვმართებს ყოველთა,  
გადავარჩინოთ საქართველო და  
ჩვენს გვერდით მდგომი!

მით ავმაღლდებით ჩვენი ერის და  
უფლის წინაშე  
და შევიქმნებით მოყვასისათვის  
სიკეთის მდომი!

---

დაიმახსოვრეთ! ვერ გადავრჩებით  
უფალთან ფულით,  
არამედ უფრო, ცოდვებისაგან  
განწმენდილ სულით!

## ჩამოხატალი გზიდან

რად ამედევნე, გამცილდი,  
მე ვერ მაცდუნებ ეშმაკო.,  
არ შეგეძალოს, მე შენზე  
გონიერი ვარ მეტადო.

იქნებ მისმინო, დამეხსენ...  
მე შენთვის არა მცალია,  
წადი, შენი გზა მონახე,  
მე მისახედ მყავს სხვანია.

ჩემ შვილებ-შვილიშვილებსა  
ვანაცვლებ ჩემსა ცხოვრებას,  
გზას ვერ გადმაცდენ, სხვა ნახე,  
ნუ ამირიე გონება.

არასდროს არ მიფიქრია  
წილი მეყარა შენთანა,  
ცუდი არვისთვის მდომია,  
დავრჩები შეკრულ ღმერთთანა.

სანამ ცოცხალ ვარ, სურვილ მაქვს  
მე ვიყო მისი მსახური,  
ვთესო ამ ქვეყნად სიკეთე,  
ვერ მომეკაროს მაცდური.

ამიტომ ჩამომეცალე,  
ვერ გადმიტყუებ იცოდე,  
მივეკედლები ბოლომდე,  
ვინც მე მაჩუქა სიცოცხლე!

## ხვალე თუ თოვლი აღარ იქნება

ზამთარმა გულის კარი გამიღო,  
ყელზე ფიფქები შემომაფრქვია,  
ციდან ჯადოსნურ ფანტელთა მზერამ  
მე მეოცნებე ქალად მაქცია.

თვალებს დავხუჭავ და გავყუჩდები,  
სახეს მივაპყრობ ზეცას მადლიანს,  
ვგრძნობ, ეს ქათქათა, თეთრი ფიფქები,  
რომ მაშორებენ წარსულს დარდიანს.

ხვალე თოვლი თუ აღარ იქნება  
მალე გაგვიღებს ზაფხული კარებს,  
გულს აგვიჩქროლებს სიყვარული და  
მეც შევაგებებ იმედით თვალებს.

როს დაიწყებენ ჩიტები ჭიკჭიკს,  
ამწვანდებიან მინდვრები როცა,  
ყვავილნი მთა-ველს როს შეამკობენ,  
იმედი მაქვს რომ შენც მალე მოხვალ.

\* \* \*

მე ბავშვობამ გამომტაცა  
ტკბილი სიზმრები,  
ცხოვრებამ კი ჩამომკიდა  
ცრემლის მძივები.

## ჰოთოლი

წვიმის წვეთი რომ ეცემა ფოთოლს,  
შეირხევა, შეთრთოლდება, ნაზად,  
ჩაიხუტებს გულში მაცოცხლებელს,  
შეისუნთქავს, შეისრუტავს ხარბად.

## ოჯახი ქვეყნის პურავია

მეგობრობა ხომ ურყევი  
ხიდია, ხალხთა ძმობისა,  
ვიაროთ მტკიცედ, რომ შევძლოთ  
გარჩევა მტრის და მოყვრისა.

მადლი გავიღოთ ყოველთვის,  
დავიმახსოვროთ ერთიო,  
ჩვენი ლოცვით და საქმითა  
გვედიდებინოს ღმერთიო.

სიყვარულს მოაქვს სიკეთე,  
ქვეყნის, ოჯახის შენება,  
არ დაგვავიწყდეს, ეს არის,  
ყველა ჩვენგანის მშვენება.

ოჯახი ქვეყნის ბურჯია  
თავისი წესით, ადათით,  
რომელსაც მტკიცედ იცავდნენ  
წარსულში მამა-პაპანი.

გავზარდოთ სიყვარულითა  
შვილები, შვილიშვილები,  
ზოგნი ცელქები, მშრომელნი,  
ზოგნიც ბრძენკაცნი, მშვიდები.

მათი სიცილით, კისკისით,  
ანეულიყოს ჭერიო,

გვენახოს თვალდაფული  
შურით ავსილი მტერიო.

ჩვენ მონაგარმა მინდა რომ  
იარონ უფლის გზითაო,  
მათვის ვილოცოთ, წყალობა,  
არ მოჰკლებოდეთ ღვთისაო.

## ჩვითი საქართველო

შენზე ფიქრი არ მცილდება  
ვეფერები მთებს და მდელოს,  
აყვავდი და გაიხარე,  
შენ გიმღერი საქართველოვ.

მინდა შენთვის ვილვანო და  
ჩემი შრომით გასახელო,  
გაძლიერდი, აღორძინდი,  
ჩემო ტკბილო საქართველოვ.

ღმერთმა მტერი დაგიმარცხოს,  
მოყვარე კი გაგიმრავლოს,  
ერთმანეთის სიყვარულში  
არასოდეს დავიღალოთ.

“  
Soy un soldado normal”

## თბილისო

მე ხომ შენი დარდიმანდი  
ქალი ვარ,  
შენს ქუჩებში ნაღვლიანი  
დავდივარ,  
შენი ერთი მოციმციმე  
ნამი ვარ,  
სევდიანი, სიყვარულით  
მთვრალი ვარ.  
ვინც მიყვარდა ზურგი იმან  
მაქცია,  
მომახვია გარს ღალატის  
მანტია,  
თუმც უღმერთომ დაუნდობლად  
გამწირა,  
ცხოვრების ზღვამ, ხომ მაინც ვერ  
ჩამძირა.  
იეთიმის ქნარის ერთი  
სიმი ვარ,  
გასაჭირში ჩავარდნილთა  
შველა ვარ,  
სიყვარულის ფრთა შემახო  
ზენამა,  
ამამღერა მე დუდუკის  
ენამა!

## სულ გემბაროთ

ვუძღვნი ანსამბლ „ქსოვრელებს“  
და მის ხელმძღვანელს ბატონ ელდარ შოშიტაშვილს

როცა ვარსკვლავთ სამეფოს  
მთვარე უკრავს დაირას,  
ვეკითხები, ვინ მღერის,  
ქსოვრელებისნაირად.

კაცმა თავის ცხოვრება  
ქეიფში რომ გალია,  
ვეკითხები, ვინ მღერის,  
ქსოვრელებისნაირად.

სიყვარულის შარბათი  
ქვეყნად ვინც კი დალია,  
ვეკითხები, ვინ მღერის,  
ქსოვრელებისნაირად.

ეს პასუხი ალალი  
ყველასაგან გაისმა:  
„ვერავინ ვერ მღერისო,  
ქსოვრელებისნაირად!“

მაშ, თუ ყველას ახარებს,  
თქვენი ნახვა-მიღება,  
მათთვის მუდამ გემღეროთ  
ეშხიანი სიმღერა!

## გლოცავთ ჩემო ქართველო

საყვარელო ქართველნო  
გენაცვალეთ გულშია,  
გავატაროთ ცხოვრება  
მუდამ სიყვარულშია.

გასაჭირში ძმებოჯან  
არასოდეს მენახეთ,  
გავძლიერდეთ მტერი რომ  
ვერ მოვიდეს ჩვენამდე.

ამოვუდგეთ ერთმანეთს  
ჭირშიაც და ლხინშიაც,  
ჩვენნაირი ქეიფი  
სხვაგან არსად იციან.

გამოვზარდოთ შვილები  
ლომგულები, მარდები,  
იმამაცონ, სამშობლოს  
გაუფანტონ დარდები.

ყოფილიყვნენ ყოველთვის  
მომხვდურების მუდამ მძლე,  
გამარჯვებით ევლოთ წინ,  
ღმერთი იყოს მათი მწე!

## ახალი ცელი

ახალი წლის მობრძანებას  
სიხარულით ველით ყველა,  
არ მოგვშლოდეს არასოდეს  
ერთმანეთის ხილვა, მზერა.

ჯანმრთელი და ბედნიერი  
შევხვედროდეთ ყველა ერთად,  
ტკიფილი და სევდა ჩვენი  
გაიყოლოს ძველმა წელმა.

მშვიდობა და სიყვარული  
დაგვაბერტყოს მაღლით ზენამ,  
გვემდეროს და გვექეიფოს  
არ მიგველოს არვის წყენა.

ღმერთის გასახარ ვიცხოვროთ  
სიტკბოსა და სიყვარულში,  
გაჭირვებულთ დავეხმაროთ,  
ჩვენთან იყვნენ სიხარულში.

\* \* \*

რა იქნება სიყვარულის სადლეგრძელო  
ჩვენ რომ დავლიოთ,  
ამ ცხოვრების საცალფეხო ბილიკები  
ერთად გავლიოთ.

## აცდა ჩემი სიზმარი

უშენობით გამჩენია გულში დარდები,  
ლია არის შენთვის ჩემი გულის კარები,  
შენს ლოდინში გაფრენილა წლები რამდენი,  
ველი პასუხს, კვლავ მინთია შენთვის სანთელი.

ცაზე ბინდი იფანტება, ჩნდება ცისკარი,  
ჩემსკენ მოდის აშოლტილი ქალი მზის დარი,  
თვალს ვეღარ ვწყვეტ, უსასრულოდ ვარ ბედნიერი,  
როგორც იქნა ახდა ჩემი ტკბილი სიზმარი.

სევდამ თავი დამანება, ცა გამინათდა,  
შენი მოსვლით ვარ უზომოდ გახარებული,  
ამის შემდეგ ვერა ძალა ვერ დაგვაშორებს,  
ვარ ძლიერი, ამაყი და ამაღლებული.

ღმერთმა ყველას გაგვითენოს  
დილა მზიანი,  
დარჩი ჩემი სიყვარულის  
თანაზიარი!

## შენი სიყვარული

ვით ბაბუანვერა, შენი სიყვარული  
ნეტავი ჩემგან რისთვის გაფრენილა,  
მივყვები სირბილით, მანძილი მაინც,  
ეჱ, კიდევ რამხელა დარჩენილა.

## კვლავაც გელი

დავდივარ და შენს ნაკვალევს  
ყველგან დავეძებ,  
ნეტავ რატომ გამიპრაზდი,  
საით გამექეც.

რად დამიჭვნე სიყვარულის  
წითელი ვარდი,  
დამიტოვე ტკივილები,  
მრავალი დარდი.

კვლავაც გელი ხელგაშლილი,  
მესტუმრე მალე,  
მიამბე რომ კვლავ გიყვარვარ  
და არ გამცვალე.

ჩვენს სიყვარულს კვლავ აღვუდგენ  
დაწყვეტილ სიმებს,  
ჩემთან შენი დაბრუნების  
არ ვკარგავ იმედს.

ჩემი გული სიყვარულით  
კვლავაც ამიგსე  
და სიცოცხლე უტკბილესი  
გამიხალისე

გამახარე, ძველებურად  
ისევ გიმღერო,  
ჩვენს გულებში სიყვარულმა  
კვლავ რომ იმეფოს.

## სულ ვიხაროთ

უკვე რამდენი წელია  
ერთად მოვდივართ,  
ო, როგორ მსურს გიყურებდეთ  
მუდამ მომღიმართ.

მშვიდობა და სიხარული  
თან გვდევდეს მუდამ,  
ყველგან ვთესოთ სიყვარული,  
იხაროს გულმა.

ამის შემდეგ კვლავაც დიდხანს  
ძმურად ვიაროთ,  
ერთმანეთის ჭირიც, ლხინიც  
გავიზიაროთ.

ჩვენს მონაგარს არ მოშლოდეს  
მშვიდი ცხოვრება,  
იმ ქვეყნად კი ჩვენს წასულებს  
სულის ცხონება.

ძმებო, ყველას დაგვიფასდეს  
შრომა და ღვანლი,  
ძეობებში, ქორწილებში  
ავწიოთ ყანწი.

ჩვენი დარჩენილი დღენი  
ისე გავლიოთ,

სადლეგრძელო ჩვენს კაცობის  
მუდამ დალიონ!

## გავიღამაზოთ გზა ცხოვრებისა

ჩემო თბილისო შენით ლალი ვარ,  
მე უკვე შენი დარდიმანდი ვარ,  
ვერაფერით ვერ გამაკვირვებენ,  
ჩემს გულს ვინც უყვარს, მასთან დავდივარ.

გული მლერის და სული ხალისობს,  
ო, რა ყოფილა ჩემთვის აგვისტო,  
მე ჩემს რჩეულმა გამახარა და  
ზღვა სიყვარულით გული ამივსო.

ბედნიერი ვარ, ჩემს ლამაზ გრძნობამ,  
უკვე აშულად გადამაქცია,  
მეცხრე ცაზე ვარ სიხარულით და  
სატრფოც, თბილისიც ჩემი განძია.

აბა, დუდუკი, დოლი, გარმონი,  
არ დავიყენოთ დრო მოწყენისა,  
ავყვეთ ყველანი ლამაზ მუსიკას,  
გავიღამაზოთ გზა ცხოვრებისა.

ভারতের গুরু

## საყვარელო ქალბათონო ლილი!

გილოცავთ ახალ წელს, რომელიც მალე მოვა და  
გაგრძნობინოთ სიხარული - სიყვარულის თოვა, მაღლობა  
საჩუქრად მორთმული ლექსების კრეპულისთვის.  
ლექსებს მაგიური ძალა რომ აქვთ, ჩემზე უკეთ მოგეხ-  
სენებათ. ჩემი მაგალითიც კმარა. გავტედე და გავრითმე  
სათქმელი. პოეზიის და მუსიკის

სიყვარულმა „დაგვაძმობილა“.

## მალე მცველვალზე ახვალ

კალმის მოსმაზე ვხედავ,  
ძის და ასულის დედავ,  
ქალი, ვითარცა რვალი,  
ბედს ერკინები კენტად.

რომ პოეზიის ცეცხლში  
გამოწრთობილი გული,  
იმედის სხივით გამთბარს,  
გიფეთქავს სიყვარულით.

მომწონს სილალე ლექსის,  
აღმართი უკვე სძლიე,  
მალე მწვერვალზე ახვალ,  
მეც მოვიხიბლე ძლიერ!

83 წლის ქეთევან ფალავა

## ჩემს ლილის

ჩემო ძვირფასო და ერთგულო კოლეგა ქალბატონო ლილი! არც კი გიცნობდი, როცა შენი ლექსების პირველი კრებული, „იმედის სხივი“, გამომცემლობა „მერანში“ შევიძინე. როცა კი გადავთურცლე და წავიკითხე ლექსი „ჩემს რატევანს“, სიხარულით ურუანტელმა დამიარა ტანში, მაშინვე ჩვენი დიდი და ბრძენი საბა გამახსენდა, რომლის მიწაზეც მე და შენ დავიბადეთ. მას შემდეგ ძალიან მიყვარხარ. გილოცავ დღევანდელ დღეს, წარმატებას გისურვებ ჩემო კეთილო, ალალ-მართალო, ნიჭიერო პოეტო, ქალბატონო ლილი.

## უფალეა მუზა არ დაგილიოს

ამ ქვეყანაზე დაბადებულხარ  
ლვთის წყალობით და უფლის განგებით,  
შენი ნიჭის და ამ დიდი ღვაწლის,  
მშობელი ხალხი გყავდეს გამგები.

რადგანაც შენი მოყვასის გულში  
ხარ სიყვარულის ტაძრის ამგები,  
უფალმა მუზა არ დაგილიოს,  
გემატებოდეს ლექსის ჯაგნები.

სიყვარულით შენი ეთერ აფაქიძე

## პოეტი არ ჰერდება

ჩემო ლილი შენი ხმა  
გულს მალამოდ ედება,  
უფლის ძალით კალამი  
ჩვენ არ დაგვიძელდება.

მწამს, ჩვენი სიყვარული,  
მრავალ წელს გაგრძელდება,  
ორივემ კარგად ვიცით  
პოეტი არ ბერდება.

იცი, კარგად, მიყვარხართ  
შენ და შენი ლექსები,  
შეხვდი მრავალ ახალ წელს,  
გლოცავ, გეალერსები.

პატივისცემით, პოეტი - ნანა დარჩიაშვილი

## ლილის სერგოსგან

რა ლამაზი ხარ ქალაუ,  
შენი გრძნობით და ქმედებით,  
ბავშვთა ლექსებსაც ბევრსა სწერ,  
მაგ შენი ოქროს ხელებით.

ქართლის ბუნებამ შეგამკო,  
შენ პოეტური გრძნობითა,  
მასვე ეტრფი და ადიდებ  
თავზე ევლები ხოტბითა.

ბოლნისის მკვიდრი შვილი ხარ,  
გაზრდილი რატევანშიო,  
შენს კუთხეს არ დაივიწყებ  
გინდაც შეხვიდე ხანშიო.

რატევნის სკოლის ზარები  
ახლაც ჩაგესმის ყურშიო,  
ბავშვებსაც შენი ლექსები  
სითბოსაცა ჰგვრის გულშიო.

გაივლის მრავალი წელი  
არ დაგივიწყებს სოფელი,  
არც შენს დაწერილ ლექსებსა  
ახალგაზრდებში მოფენილს.

მადლობას შემოგითვლიან  
ახალგაზრდა და ბერია,  
შენისთანები ეზარდოს  
ჩვენს სოფელს კიდევ ბევრია.

სერგო გოგებაშვილი

## არ ჰგავხარ სხვა ქალებს

ბედნიერი ვარ, ვიხილე  
შენი ნაზი სახე,  
არ დავმალავ, მომენტონე,  
როცა დაგინახე.  
მოციმციმეს, მომლიმარეს  
ვხედავდი შენს თვალებს,  
შენ სულ სხვა ხარ, სხვა ყვავილი,  
არ ჰგავხარ სხვა ქალებს.  
ერთხელ შეგხვდი, გავიგონე,  
შენ რომ გქვია ლილი,  
გაგახსენებ, კალიამ რომ  
ამოგილო კბილი.  
ერთი ცრემლიც არ მოადგა  
მბრწყინავ მაგ შენს თვალებს,  
იცინოდი, როგორც ბავშვი,  
შესცინის ვარსკვლავებს.  
გისურვებ რომ ვარსკვლავთ შორის  
იყო შენც ვარსკვლავი.  
და დატოვო ყველგან შენი  
ღირსეული კვალი.  
შენს სიყვარულს ნურასოდეს  
დაუხურავ კარებს,  
სადაც წახვალ, სულ გახსოვდეს  
მშობლიური მხარე.  
იმ მშობლიურ მხარეში კი  
გყვარებოდეს ერთი,  
ღალატს არვინ გაპატიებს,

არც კაცი, არც ლმერთი.  
შეიყვარე ღირსეული,  
თავიც შეაყვარე,  
მზე იყავი შენ იმისთვის,  
ის კი შენი მთვარე.  
სიხარულით, სიყვარულით,  
ერთურთს შეაბერდით,  
ექვსი გოგო, ექვსი ბიჭი  
გყოლებოდეს გვერდით.

ავტორი - გოგი შიოევი

## ლილი გოგებაშვილს

ვინ არ იცნობს დათუნას,  
ორი ბავშვის დედასა,  
ლექსისათვის გულდამწვარს  
პოეტს, ახალბედასა.

თავდადებით, რომ უვლის  
შორენას და გოგიტას,  
ლამით სწერს და დილაზე,  
ერთ ლექსს მაინც მოგიტანს.

საქართველოს რადიოს აუდიო ფონდის,  
„ოქროს ფონდის“ უფროსი, ლოტბარი და მომღერალი  
აკაკი ურუშაძე

2nd 3rd 6th 7th

## მწვერვალისკან

### ბატონ ჯემალ ადამაშვილს

თმადათოვლილი დგახარ  
ნლების გადასახედთან,  
გეამაყება უქმად  
დრო არ დაგიკარგია,  
შემოქმედების აღმართს  
მისდევ მწვერვალებისკენ,  
შენი გაზრდილნი, ბევრნი  
უკვე სანთლად ანთია.

ვალმოხდილი ხარ შენი  
ერის, ქვეყნის წინაშე,  
ბედნიერი ხარ, მამულს  
უმდერ, უგალობ უფალს,  
ჯადოსნურ ჰანგებს ატან  
ბავშვებს ცხოვრების გზაზე,  
კაიკაოცბით ასე  
ებრძვი ცხოვრებას მუხთალს.

განვლილი გზისკენ, უკან  
გახედვის არც გეშინია,  
ცხრა შვილის გამზრდელს სულ თან  
გდევდა ტკივილიც, სევდაც,  
წარმატებული კვლავაც  
გევლოს შვილებთან ერთად,  
ბედნიერ იყავ, მათთან  
ერთად, დაგლოცოს ღმერთმა.

## არ მოგკლებოდეს წყალობა ღვთისა

### პატონ ჯუმბერ ხობელიას

შენ დაიბადე ორმოცდასამის  
ივნისის თვეში,  
როცა ქვეყანა გახვეულიყო  
ომის ქარ-ცეცხლში,

ჰო, სიხარულით და სიყვარულით  
აღივსო ეს დღე,  
მამულს და ოჯახს რომ შეემატა  
კიდევ ერთი ძე.

შენს დაბადებას მზე უმლეროდა  
სხივთა ციალით,  
გალობდნენ ჩიტნიც, იმ სიხარულის  
გახდნენ ზიარნი.

აგშორებოდეს მტრობა და შური  
ყოველთვის სხვისგან,  
მთელი ცხოვრება არ მოგკლებოდეს  
წყალობა ღვთისა.

მე დაგილოცავ შენი ოჯახის  
ქალბატონს, სათნოს,  
რომლის სინაზე და სიყვარული  
ბოლომდე გათბობს.

მე დაგილოცავ იმ შენს ორ ბოკვერს,  
იმედს ხვალისას,  
მათ დაბადებამ ცხოვრება მკვეთრად  
გაგიხალისა.

მუდამ ხელთ გეპყრას შენ სიყვარულის  
სავსე ფიალა,  
მრავალჟამიერს შემოსძახოდე  
ომახიანად!

## ცეკვით დაგეპყროთ მსოფლიო

**ტყუპ ძმებს - ლაშა და გიორგი გოგებაშვილებს**

დაგლოცოთ ღმერთმა, წმიდა გიორგიმ,  
გაზრდილიყავით საამაყონი,  
კეთილი საქმე გეკეთებინოთ,  
გამხდარიყავით საარაკონი.

დაბრკოლებები გადაგელახოთ,  
შეწევნითა და წყალობით უფლის,  
ყოფილიყავით უპოვართ შემწე,  
თამადად მუდამ გაშლილი სუფრის.

აგსრულებოდეთ ყველა მიზანი,  
ცეკვით დაგეპყროთ მსოფლიო მთელი,  
მართლმადიდებელ სარწმუნოების  
ყოფილიყავით ბოლომდე მცველი.

## გელვანოთ მუდამ თქვენი ერისთვის

**შესანიშნავ დასტაქარს - ბატონ ალექსანდრე ლლილვაშვილს**

მე დაგილოცავთ დიდებულ ოჯახს,  
არ მოგკლებოდეთ უფლის წყალობა,  
შვილთა საგმირო საქმენი მუდამ  
ყურს ჩაგესმოდეთ, როგორც გალობა.

თქვენ კი თან გდევდეთ მთელი ცხოვრება  
მზის ბრყინვალება, მუდამ აისი,  
რომ ყოფილიყოს მარადიულად  
თქვენს ცხოვრებაში ლხინი, ხალისი.

ზებუნებრივი ნიჭით აღვსილო,  
სიტყვით და საქმით რომ აფრქვევთ სითბოს,  
თქვენი ნაღვაწით ვართ მადლიერნი,  
კვლავინდებურად გვსურს ჩვენთან იყოთ.

ჩვენ კი ასე გვსურს, მაგრამ რა ვიცით,  
იქნებ უკეთესს გიმზადებთ ლმერთი,  
სადაც წახვიდეთ, უკან გამოგყვეთ  
უფლის წყალობა და ლოცვა ჩვენი.

მე დაგილოცავთ ნაღდ ქართველობას,  
გელვანოთ მუდამ თქვენი ერისთვის,  
კეთილი საქმით, ალალი გულით,  
წარმდგარიყავით ჩვენს ტკბილ ლმერთის წინ.

## დაო ჩემო

### ნაზი სურმავას

ლამაზი წლები დაო ჩემო  
ერთად გავლიერ,  
და სადლეგრძელო მეგობრობის  
ერთდ დავლიერ.

ცხოვრებამ დიდხანს დაგვაშორა  
მერე კი შევხვდით.  
ჩვეული რიტმით გავაგრძელეთ  
გზა ნებით ლმერთის.

ორივე კენტად მივუყვებით  
ჯიუტად ჩვენს გზას,  
როცა შევხვდებით, ვუზიარებთ  
ერთმანეთს ჩვენს დარდს.

თუმცა, რთულია მათ გარეშე  
ჩვენი ცხოვრება,  
ბოლო წუთამდე ჩვენ ისინი  
გვემახსოვრება.

მარადისობას შეუერთდნენ  
ჩვენ მიგვატოვეს.  
ჯერ ვერ დავძლიერ მათ გარეშე  
ჩვენ სიმარტოვე.

თუმც, ტკივილები არ გასულა  
გულიდან ჯერაც,  
უფალი ჩვენი გაგვაძლიერებს,  
მე ამის მჯერა.

მაგრამ იყუჩე, არ შეშინდე,  
ჩვენთან არს ღმერთი,  
მან მოგვავლინა, შეგვეწევა,  
ეს გნამდეს ერთი.

უნდა გვახსოვდეს, ყველაფერი  
უფლით რომ ხდება,  
მის გარეშე კი ამა ქვეყნად  
არარა ხდება.

## პატარა ღემოფრთვის გოგიპაშვილს

უღრუბლო ცა თავს დაგვხარის,  
რა კაშკაშა, თბილი მზეა,  
ვხარობთ ყველა, დღეს დემეტრე  
შენი დაბადების დღეა.

წმიდა დემეტრემ დაგლოცოს  
გაზრდილიყავ მეფის დარი,  
შრომითა და ბრძოლით ქვეყნად  
დაგეტოვოს კარგი კვალი.

## საამაყო ეპიმეთო დაგელოცოთ მარჯვენა

### გიორგი ლოლობერიძეს და ლევან რატიანს

დაგილოცავთ მაგ მარჯვენას  
საამაყო ძმებო,  
თქვენი ღვანწლი, თავგანწირვა,  
ჩვენს გულებში ზეობს.

ჯანმრთელობის ფრონტზე იბრძვით,  
მოსვენება არ გაქვთ,  
ყველას ტკივილს იზიარებთ,  
თქვენი გულით დაგაქვთ.

საიმედო დასტაქრებო  
მომავლისთვის იბრძვით,  
ყველა ჩვენთაგანისათვის  
იმედი ხართ დიდი.

ყოველ განსაცდელისაგან  
ღვთისმშობელი გიხსნით,  
რადგან აღმსრულებელნი ხართ  
ჰიპოკრატეს ფიცის.

იმედდაკარგულ პაციენტს  
რომ უბრუნებთ რწმენას,  
ღმერთმა ამისთვის დაგლოცოთ,  
არ მოგაკლოთ ლხენა.

სადავენი ვირუსების  
ხელთ გიპყრიათ როცა,  
ნუ შედრკებით, აფრიალეთ  
გამარჯვების დროშა.

ღირსეულო ქართველებო  
ამაყნი ვართ თქვენით,  
ცხოვრებაში გევლოთ მუდამ  
წარმატებულ გზებით.

ხართ ლეგენდა ექიმები,  
საქართველოს მშვენი,  
გაძლიერდით, შინ და გარეთ  
დაამარცხეთ მტერი.

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და  
იყოს თქვენი შემწე,  
მარადებამს ყოფილიყავით  
კარგი ამბის მეკვლედ.

## მოგონებები იცოცხლება მხოლოდ

საქართველოს რადიოს დიქტორს,  
მსახიობს ბატონ ჯემალ მელქაძეს

დაუღალავს და სიცოცხლით სავსეს  
ცდილობდი მუდამ, მოგესწრო ბევრი,  
მაგრამ სიკვდილმა გიყელა ჯემალ,  
ბედმა გარგუნა ასეთი ხვედრი.

დადუმდა შენი მგზნებარე გული,  
ვინ იცის კიდევ, რა უნდა გეთქვა,  
მოგონებებში იცოცხლებ ანი,  
მოგონებებით დარჩები ჩვენთან.

## ხით მშვიდირით ხიპლავდა მსმენელს

საქართველოს რადიოს დიქტორს,  
მსახიობს ქალბატონ მერი მიქელაძეს

შეხვედრა იყო მასთან საამო,  
სიტყვით და საქმით იყო მართალი,  
ღიმილს აფრქვევდა ირგვლივ ყველასთან,  
მხატვრული კითხვის იყო სარდალი.

მისი ხმა ახსოვს რუსთველის თეატრს,  
მოაჯადოვა მსმენელის გული,

იქ გააცოცხლა მრავალი გმირი  
და უკვდავების შთაბერა სული.

დაბრკოლებებიც ჰქონდა მრავალი,  
მაგრამ ღვთის მადლით მალე დაძლია,  
გაცოცხლებული მისი გმირები  
ქართველი ერის დიდი განძია.

იმძლავრა ბოლოს მასში რადიომ,  
რომელსაც უძლვნა ცხოვრება მთელი,  
ხავერდოვანი მისი ხმა ტკბილი,  
იყო ყველასთვის სიამის მფენი.

სულ სხვა რამ იყო მისთვის რადიო,  
თვის ხმას აწვდენდა მთასაც და ბარსაც,  
ატკბობდა ბავშვებს ლამაზ ზღაპრებით,  
მის მეციხოვნედ ბოლომდე დარჩა.

## შემთვის ვილოცებ მარინა

**დიდებულ მამულიშვილს, რუსეთ-საქართველოს  
ომის მონაწილეს, ლირსეულ ქალბატონს - მარინა ნაჭყებიას**

თვალს ვეღარ შეგავლებ, ეს მტანჯავს  
ძალიან,  
ჩემს სულში სისინებენ  
ქარები,  
როგორ ნაადრევად დაგვშორდი,

წახვედი  
და ჩუმად მოგვიყეტე  
კარები,  
სევდასთან დავძმობილდით, აღარ  
გვცილდება,  
რაც შენ ამა ქვეყნიდან  
გახვედი,  
წარსულს რომ გავხედე ნაღვლიან  
თვალებით,  
მივხვდი რომ დაგვრჩენია  
სათქმელი.

ნანატრ და საყვარელ ძმას, მშობლებს,  
მეუღლეს,  
დარდით და ტკივილებით  
იახელ,  
გულზე დაგეფინნენ ვითარცა  
მალამო  
და სწრაფად გიშუშებენ  
იარებს.

ჩვენ შენი ნაღვანით ვამაყობთ  
ამ ქვეყნად,  
გულში გვინთიხარ როგორც  
კანდელი,  
აქედან მე შენთვის ვილოცებ  
მარინა!  
მანდ! ღმერთმა დაგიმკვიდროს  
ნათელი!

## შენ ვერ იხილა საქართველო თავისუფალი

აფხაზეთის ომის გმირს - ავესენტი /ტასო/ ნაჭყებიას

როს ჩამოშავდა ცა აფხაზეთის,  
ომის გრიგალი დაატყდა თავზე,  
იბრძოდი გენო ადამიასთან,  
არ განდგომიხარ სამშობლოს განზე.

შენ, შენი ტანკით იცავდი მტკიცედ,  
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას შენსას,  
ოცნება კვლავაც დაგრჩა ოცნებად  
და არ ელირსა მას ფრთების შესხმა.

თავი შესწირე სამშობლოს, უტკბესას,  
ამის მხილველი არის უფალი,  
გული გტკივა, რომ ის ვერ იხილე  
ერთიანი და თავისუფალი.

აროდეს, შენ და თანამებრძოლნი  
მომხვდურთ წინაშე თავს არა ხრიდით,  
ამით, ერთიან - თავისუფალი  
საქართველოსთვის საძირკველს ჰყრიდით.

გავიდა წელი ოცდაშვიდი და  
თბილისს ეახელ ერთგული შვილი,  
შენი საფლავი ცარიელი კი  
აფხაზეთს დარჩა ჭრილობად დიდი.

შეგხვდა თბილისი შვილს მონატრებულს,  
საყვარელ დებმა გაპკურეს ცრემლი,  
იცოდე ძმაო დღე დღევანდელი  
არს სიხარულის და დიდი სევდის.

## ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს

### ქალბატონ შუქია ჭინჭარაულს

ხევსურის ქალო შუქია  
ხოტბას შეგასხამ ლექსითა,  
თუმცა, აქ რა დაეტევის  
რაც მე ამ გულით მეთქმისა.

ვაჟკაცური ხარ ქალაი,  
გაზრდილო დედის რძითაო,  
შენს გულში განვლო მახვილმა,  
ვერ გაიხარე ძითაო.

ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს,  
ჯავრ გადუკეტე კარია,  
შუქიავ! ჭირი და ლხინი  
ხომ იცი, ძმანი არიან.

გუდანის ჯვარმა დაგლოცოს,  
გაგაძლიეროს რწმენაში,  
შეგიმსუბუქოს ტკივილი,  
უფალთან იყავ ლხენაში.

ღმერთმა შენს ძეს და შენს ნუგეშს  
იქ დაუმკვიდროს ნათელი,  
შენ კი აქ დიდხანს გაცოცხლოს  
მისთვის სანთელის დამნთები.

## წყარო მაცოცხლებელი

ჩვენი სოფლის წყარო ააშენა კოტე სავოვმა 1931 წლის  
ოქტომბერში და დღესაც ემსახურება სოფელს

წელი გასულა უკვე მრავალი,  
მე ბავშვობიდან მახსოვს ეს წყარო,  
რამდენ დაღლილ მგზავრს შეუსვენია  
და დღესაც ამ წყლით ტკბება და ხარობს.

შენმა მარჯვენამ მოაჩუქურთმა,  
ასე ლამაზად, ყველას რომ ხიბლავს,  
ოთხმოცდაათი წელი გავიდა  
შენი ნაღვანი ასრულებს სიტყვას.

შენი სახელის უკვდავსაყოფად  
კვლავ ამაყად დგას სოფელს გაჰყურებს,  
ნიავიც ნაზად ეალერსება,  
ხარობს, მწყურვალთ რომ დღესაც არწყულებს.

წყალი ცივ-ცივი კვლავაც გადმოსჩქეფს,  
სულის ცხონებად ესაცა კმარა,  
სანამ ეს წყარო სოფლად იქნება  
დაავიწყდები ჩვენს სოფელს განა?

## შენი ლექსები ხორა ვაშაკიძეს

შენი ლექსები ხელიხელ საგოგმანო  
სულის ჭრილობებს რომ მალამოდ ედება,  
მართლმადიდებელთა სულის საუნჯეა  
მკითხველნიც არასოდეს რომ არ ელევა.

ეს შენი ლექსები ლოცვად ალვლენილან,  
გზას ყველას უნათებენ უფლისკენ სავალს,  
შეგვაგონებენ რომ მუხლმოყრით ვილოცოთ  
სამების, წმინდანთა სადიდებლად მარად.

შენი ლექსებია ერის სახატეში  
სანთლებად რომ ანთია, დიდებად ღმერთის,  
დიდხანს იცოცხლე და გელვაწოს ისე, რომ  
მოესწრო შენი ქვეყნის უკეთეს მერმისს.

## ვეღარ დაბრუდა მანავში

აფხაზეთის ომში დაღუპულ ვაჟა ქიტიაშვილს

აფხაზეთის ცას კრიალას  
ომის ღრუბელი დაადგა,  
შემოგვესია მტერი და  
ტკივილი ძველი განახლდა.

არ დააყოვნა ვაუამაც  
როდი დაფიქრდა წამითაც,  
„თეთრი არწივის“ სპეცრაზმში  
ის მოხალისედ წავიდა.

თავს არ ზოგავდა, იბრძოდა  
ის სისხლის ბოლო წვეთამდე,  
მისი საბრძოლო ყიუინა  
აღწევდა მაღლა, ზეცამდე.

გააფთრებული ბრძოლები,  
როცა გაჩაღდა გაგრაში,  
აქაც არ დარჩა სამშობლოს  
ვალში ოცი წლის ვაუკაცი.

ვეღარ დაბრუნდა „კახელი“  
თავის მშობლიურ მანავში,  
გამარჯვება ვერ აღნიშნა  
ბიჭებთან ერთად მარანში.

გაგრამ უჩინო გახადა  
ვაუა თავისი საფლავით,  
მისი დაღუპვის ამბავს კი  
სოფელი შეხვდა თავდახრით.

## მოლოდინი დასრულდა

აფხაზეთის ომში დაღუპულ გია (გიორგი) მარტიაშვილის  
დედას ნაზი მარტიაშვილს

ლამეებს ათევდი თეთრად,  
დაგლალა ამდენმა მოცდამ,  
მაგრამ ამაოდ, გია ხომ  
აღარც აპირებდა მოსვლას.

ამ ქვეყნად მარტო დარჩენილს  
არჩევანი არ გქონდა სხვა,  
განა დაფიქრდი? - აჩქარდი!  
დაადექ შვილისაკენ გზას.

ამერ-იმერის საზღვართან  
გელოდა შენი იმედი  
და მონატრეპულ ერთასთან  
მშფოთვარე გულით მიხვედი.

გიორგი დაგხვდა მღიმარი  
მებრძოლ ვაჟკაცებთან ერთად,  
დიდი ხნის მონატრეპულნი  
გულში ჩაგახუტათ ღმერთმა.

უკვე აღარ ხარ მარტო,  
მოგცილდა გულიდან დარდი,  
შენს უსაყვარლეს შვილთან ხომ  
დედავ, ბედნიერი გახდი!

## სარჩევი

ბიოგრაფია .....	5
გაერთიანდეს და გაპრეცინდეს კვლავ იბერია .....	8
* * * (უფლისციხიდან ჩემს საქართველოს) .....	9
* * * (მე მომავლინა ლმერთმა რომ) .....	9
დიდება უფალს.....	9
ეს ქართველს გაუმარჯოს .....	10
რადიოს თანამშრომლებო .....	11
ჩემო მესხეთო .....	12
საამურად აჭიკუჭიკდნენ მერცხლები, .....	14
შოთა რუსთაველი ქართველთა გენია .....	15
მადლობელი ვარ .....	17
მიდიან წლები, მიდიან, .....	17
ქართველ ერს განძი შეუქმნა .....	18
მოვეფეროთ ერთმანეთს.....	20
ვამაყობათ შენით .....	20
რჩეულთა ხვედრი.....	21
ჩემო მამულო .....	22
გული ჩემი სიყვარულის ზღვაში.....	22
იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი.....	23
წმიდა გიორგი გურჯი .....	25
კრძალვით გვაახლე უფალსა .....	28
წმიდა სალომე ქართველი .....	30
შემოუნახეთ! .....	33
ყოფჩის ხევს ნისლი ესტუმრა,.....	33
საუკეთესო თაობა თქვენ გამოზარდეთ მრავალი.....	34
ჩვენი სიცოცხლე .....	36
დედას .....	37
ნეფე-დედოფლის დალოცვა .....	37
ბავარელი ბიჭები .....	39
ბედნიერი ხარ .....	40
ვაჟას ეზოში .....	41
სჯობს .....	41
ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“ .....	42
ატირდა ფუნჯი .....	43
ღიმილის ბიჭებს .....	45

მამას .....	47
იმრავლეთ გოგებაშვილნო .....	47
დიახ ვამაყობ, რომ ვარ .....	48
გულს ემლერება .....	49
მოგილოცავთ 8 მარტს .....	49
ბათუმს გიმლერი .....	50
სვანეთს .....	51
ახალო წელი .....	52
სამშობლო მიგულე მზის სხივად .....	53
ვადლეგრძელებ .....	54
სოფელს მოჰვინე ნათელი .....	54
შენ .....	58
ცისარტყელის ქვეშ .....	59
მასნავლებელო .....	60
გონს მოდით ქართველნო .....	60
არ მომაჟლებ სიყვარულს .....	61
ვერ დაგივიწყებთ .....	62
არ ვარ მანქანა, რომ მატარო .....	63
გაზაფხულია .....	63
გაზაფხული .....	64
ქართველნო .....	64
დამილოცნიხართ ბავშვები .....	65
ქართველებო იქართველეთ! .....	66
მე მიყვარს ადამიანი .....	67
ჯვრის მონასტრის მცველები .....	68
არავინ იცის მომავალში .....	69
ამლერებული პოეზია .....	70
* * * (შემოუვლიან სოფლებს, ქალაქებს) .....	72
* * * (ცაზე ღრუბლებს) .....	72
* * * (ცად აზიდული) .....	72
საქართველოს ახალგაზრდობას .....	73
ცხოვრება სიხარულს .....	74
ბოლო ჟამია! .....	75
ჩამომეცალე გზიდანა .....	75
ხვალე თუ თოვლი აღარ იქნება .....	76
* * * (მე ბავშვობამ გამომტაცა) .....	77
ფოთოლი .....	77
ოჯახი ქვეყნის ბურჯია .....	78

ჩემი საქართველო .....	79
დარდიმანდული .....	80
თბილისო .....	81
სულ გემლეროთ .....	82
გლოცავთ ჩემო ქართველნო .....	83
ახალი წელი .....	84
რა იქნება სიყვარულის საფლეგრძელო .....	84
ახდა ჩემი სიზმარი .....	85
შენი სიყვარული .....	85
კვლავაც გელი .....	86
სულ ვიხაროთ .....	87
გავილამაზოთ გზა ცხოვრებისა .....	88
მოძღვნილი .....	89
საყვარელო ქალბატონო ლილი! .....	90
მალე მწვერვალზე ახვალ .....	90
ჩემს ლილის .....	91
უფალმა მუზა არ დაგილის .....	91
პოეტი არ ბერდება .....	92
ლილის სერგოსგან .....	92
არ ჰგავხარ სხვა ქალებს .....	94
ლილი გოგებაშვილს .....	95
მიძღვნილი .....	96
მწვერვალებისკენ .....	97
არ მოგკლებოდეს წყალობა ღვთისა .....	98
ცეკვით დაგეპყროთ მსოფლიო .....	99
გელვანოთ მუდამ თქვენი ერისთვის .....	100
დაო ჩემი .....	101
პატარა დემეტრე გოგებაშვილს .....	102
საამაყო ექიმებო დაგელოცოთ მარჯვენა .....	103
მოგონებებში იცოცხლებ მხოლოდ .....	105
ხმით შვენიერით ხიბლავდა მსმენელს .....	105
შენთვის ვილოცებ მარინა .....	106
შენ ვერ იხილე საქართველო თავისუფალი .....	108
ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს .....	109
წყარო მაცოცხლებელი .....	110
შენი ლექსები .....	111
ველარ დაბრუნდა მანავში .....	111
მოლოდინი დასრულდა .....	113



தீர்மானம்  
நான் விரும்புவதை  
நினைவில்லை, தீர்மானம்  
நான் கூறுகிறேன்  
நான் செய்து கொண்ட நிறைவே  
நான் நினைவு எல்லாம்  
நான் கூறுகிறேன்  
நான் விரும்புவதை  
நான் விரும்புவதை

நான் விரும்புவதை

ISBN 978-9941-8-6403-2



9 789941 864032